



# ილორსი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№3131 (372) 28 აპრილი – 5 მაისი 2015

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ ვიპოვებთ ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით ვიპოვებთ ანა – აქაი შენიჭა

## რა შედეგებს ასწავლოს ბალტიისპირეთმა საქართველოს?

ბალტიისპირეთს საქართველოს მიმართ უკავია დამრიგებლისა და აღმზრდელის პოზიცია, და თავის მაგალითით აჩვენებს, როგორ უნდა იცხოვროს, ვისთან იმეგობროს, ვისთან საერთო არაფერი უნდა გაქონდეს. პორტალმა RuBaltic.ru-მ შეიტყო, რა დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხისადმი თვითონ საქართველოში და ქვეყანაში არსებული ვითარების განხილვა პოლიტოლოგს, გლობალიზაციის პრობლემების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს – ალექსანდრე ზაჰისს სთხოვა:



– საქართველოს არცთუ იშვიათად უწოდებენ „ახალ პოსტსაბჭოთა ბალტიისპირეთს“. თქვენი აზრით, რასთან არის ეს დაკავშირებული?

– არ ვიცი, სახელდობრ რა იგულისხმება „ახალ პოსტსაბჭოთა ბალტიისპირეთში“. თუ საუბარია ცხოვრების ძალიან დაბალ დონეზე, ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციის არნახულ ტემპზე, საბჭოთა წარსულის ისტერიკულ ლანდლაზე, ანუ იმ პერიოდის გაბიაბრუებაზე, როდესაც ერთ ქვეყანაში ვიყავით, მაშინ – კი, ვგავართ. მეტიც – თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ, როგორც ბალტიისპირეთში, ისე საქართველოში ჭეშმარიტი ბატონ-პატრონები ამერიკის ელჩები არიან, და რომ ისინი ისე იქცევიან, როგორც გენერალ-გუბერნატორები კოლონიებში, მაშინ სწორია, ყველა ამ პარამეტრით, განსაზღვრება „ახალი პოსტსაბჭოთა ბალტიისპირეთი“ სამართლიანია.

– სჭირდება კი ქვეყანას ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მხრიდან დამრიგებლობა ან მეურვეობა?

– გამონათქვამია „ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მეურვეობა“, საერთოდ, ძალიან სასაცილოდ უდვრს, რადგან ბალტიისპირეთის სახელმწიფოები ისეთ კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ მათ ვიღაცის არც მეურვეობის შესაძლებლობა გააჩნიათ და არც მორალური უფლება.

საქმე ის არის, რომ საქართველოში ნათელი წარმოდგენა არ აქვთ, დღეს რეალურად რას წარმოადგენს ლიტვა, ლატვია და ესტონეთი.

საქართველოში ამერიკელი პროპაგანდისტების ძალისხმევით, მრავალი წელია, მიმდინარეობს საინფორმაციო შეტევა, მიმართული იმისკენ, რომ აჩვენონ, რა წარმატებული არიან ბალტიისპირეთის ქვეყნები: შევიდნენ ევროკავშირში, ნატოში, უზრუნველყოფენ თავიანთ ეროვნულ უსაფრთხოებას, ხალხი იქ კარგად და კეთილდღეობაში ცხოვრობს. აი, ამ პროპაგანდას ეწვეიან სახელმწიფოებრივ დონეზე

საქართველოში. ვფიქრობ, ასეთივე პროპაგანდა მეზობელ ქვეყნებშიც – სომხეთსა და აზერბაიჯანში.

თუმცა იმ ადამიანებმა, რომლებსთვისაც ცნობილია რეალური ვითარება ბალტიისპირეთის ქვეყნებში, იციან, რომ ემიგრაციის ისეთი მასშტაბები, როგორიც დღეს იქ არის, არასოდეს ყოფილა. კარგ ცხოვრებას კი, მოგვსვენებათ, ხალხი არ გაუბრბის. მოსახლეობის ცხოვრების დონე უკიდურესად დაბალია. პრინციპში, ისეთივე ვითარებაა, როგორც საქართველოში, მაგრამ დასავლური პროპაგანდა ქართველებსა და სხვა პოსტსაბჭოთა ხალხებს თავს ახვევს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების კეთილდღეობის მითს, რათა წარმოაჩინონ ნატოში შესვლისგან ვითომ მიღებული დადებითი ეფექტი.

– ქვეყნის განვითარების რა გზებს ხედავთ დღეს?

– არის თეორიული გზები და არის შექმნილი რეალობის შესაბამისი გზები. თეორიულად, საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ უარი უნდა თქვას ნატოსა და ევროკავშირში შესვლის იდეის მანიაკალურ მიმდევრობაზე, გადახედოს ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსს და განსაზღვროს საქართველოს ადგილი და როლი რეგიონში, მოსახლო ქვეყნის სტრატეგიული განვითარების რეალური პერსპექტივები, გამომდინარე იმ აუცილებლობებიდან, რომლებიც საჭიროა ნორმალური ურთიერთობების, თუნდაც საერთო ეკონომიკური და პუბლიკარული სივრცის აღსადგენად საქართველოს იმ ნაწილებთან, რომლებიც ბოლო 20 წლის პოლიტიკის შედეგად ქვეყნისგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. მხედველობაში მაქვს აფხაზეთი, მთარეთი ოსეთი, რომლებთანაც არავითარი მუშაობა არ მიმდინარეობს, თანაც, არა მხოლოდ რეინტეგრაციაზე, არამედ ნორმალური ურთიერთობის დამყარებაზეც კი იმისათვის, რომ დაიწყო ჩვენი ხალხების წინაშე მდგარი რეალური პრობლემების განხილვა.

მიმანია, რომ საქართველომ აუცილებელად უნდა განსაზღვროს, რას წარმოადგენს და როგორი მომავალი სურს: ან დარჩეს სახელმწიფოად, სადაც ტრადიციული ქრისტიანული ფასეულობები დომინირებენ, ან განაგრძოს დეგრადირება და თავისი მოსახლეობა გადააქციოს უეროვნებო ბიოლოგიურ მასად, როგორც ამისკენ უბიძგებენ დასავლელი კურატორები.

დღეს საქართველო არ არის საერთაშორისო პოლიტიკის სუვერენული, დამოუკიდებელი სუბიექტი, რადგან მისი საგარეო პოლიტიკა ყალიბდება ამერიკელი კურატორების უშუალო კარნახით.

სამწუხაროდ, ყოველ შემთხვევაში, მოცემულ ეტაპზე, საქართველოს ყველა ხელისუფლება, არსით, წარმოადგენს მარინეტულ ჯგუფებს, რომლებსაც არ აქვთ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების უნარი.

ამ წლების განმავლობაში ჩვენი ამერიკელი კოლეგები ქმნიდნენ ღრმად ეშელონირებულ პოლიტიკურ გუნდს, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ ამერიკელი კურატორების მითითებებზე. ამას ხელი შეუწყო იმ არასამთავრობო ორგანიზაციების კოლოსალური ქსელის შექმნამაც, რომლებიც დასავლური გრანტებით არსებობენ. ამ არასამთავრობო აქტივისტთა

უზარმაზარი მასიდან ჩამოყალიბდნენ მოღვაწეები, რომლებიც, ცვლიან რა ერთმანეთს ხელისუფლებაში, წარმოადგენენ, ფაქტობრივად, ერთი და იმავე პოლიტიკური ძალის ემულონებს.

**ძალა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ეროვნული ინტერესების რეალიზაციაზე და შეძლებდა, საზოგადოებისთვის მიეწოდებინა ალტერნატიული თვალსაზრისი და სახელმწიფოს განვითარების ალტერნატიული სტრატეგია, დღეს საქართველოში არ არსებობს.**

საქართველო, ამ მხრივ, ჰგავს ბევრ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკას. და ეს ფაქტი განპირობებულია იმით, რომ ამ წლების განმავლობაში რუსეთს არც უცდია, ამ სახელმწიფოებში რამე პოლიტიკური როლი ეთამაშა. იგი ორიენტირებული იყო მხოლოდ ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ამით ისარგებლეს ამერიკელებმა – გააჩაღეს ძალიან სერიოზული მუშაობა და მიადწიეს დიდ წარმატებებს. ამაზე მეტყველებს თუნდაც უკრაინისა და საქართველოს მაგალითი.

მიმანია, რომ უახლოეს წლებში რაღაც ცვლილებები საქართველოს პოზიციებში და, შესაბამისად, პოზიტიური ცვლილებები ეკონომიკასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, ნაკლებად სავარაუდოა.

– საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში ამოცანად აქვს დასახული ნატოს სტანდარტების სრულად შესაბამისი თანამედროვე და მობოლური არმიის შექმნა. ამას გარდა, პრეზიდენტი სააკაშვილი ჯერ კიდევ 2006 წელს დიდი თვითდაჯერებით ლაპარაკობდა საქართველოზე, როგორც ნატოს მომავალ წევრზე. თქვენი აზრით, შეეა კი ქვეყანა ოდესმე სამხედრო ალიანსში, და მთავარი – სჭირდება ეს სახელმწიფოს?

– ალიანსში საქართველოს შესვლაზე მხოლოდ ადგილობრივი პოლიტიკოსები ლაპარაკობენ. ქართველი მოღვაწეების გარდა, ამაზე კინტს არავინ ძრავს. პრეზიდენტმა ობამამ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ეს შეუძლებელია. პრეზიდენტმა ოლანდმა და კანცლერმა მერკელმაც ანალოგიური რამ თქვეს. ევროპის წამყვანი ქვეყნების ლიდერები და ნატოს ხელმძღვანელები ამბობენ, რომ უახლოეს მომავალში ეს შეუძლებელია, მაგრამ საქართველო ამისათვის უნდა ემზადოს. აი, ეს ფრაზა – „საქართველო ამისთვის უნდა ემზადოს“, თითქოს წარმოაჩენს ალიანსის წამყვანი წევრების მზადყოფნას, განიხილონ ეს საკითხი, ოღონდ კონკრეტული დაპირებების გარეშე. ამ გამონათქვამს კი საქართველოში წარმოაჩენენ, როგორც დასავლეთის მყარ დაპირებას.

**რისთვის სჭირდებათ ადგილობრივი პოლიტიკოსებს ზღაპარი ნატოსა და ევროკავშირში მალე შესვლაზე? იმისათვის, რომ საზოგადოებას რაღაც მიზნები დაუხახონ. სხვა მიზნები ხომ არ აქვთ. თეორიული შესაძლებლობა, ქართველი საზოგადოებისთვის განისაზღვროს რეალური მიზნები, ებჯინება პოლიტიკური კურსის შეცვლის აუცილებლობას. რჩება ერთადერთი – ამჟამინდელი პოლიტიკისა და ნატოსა და ევროკავშირში შესვლის ოცნების გამართლება.**

ამ ფონიან კანფეტს საქართველოს მოსახლეობა სიამოვნებით იღებდა პირველი

10 წლის განმავლობაში. რაღაც ნაწილს სააკაშვილის პერიოდში სჯეროდა ეს. ამჟამად კი ამის სჯერათ ან თავს გვაჩვენებენ, რომ სჯერათ, სამთავრობო და მასთან დაახლოებული წრეების, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს, რომლებიც ამერიკული ფულით საზრდოობენ.

მე უკვე დავიღალე ამ კითხვის მოსმენით და, როდესაც მეკითხებიან საქართველოს შესვლაზე ნატოსა და ევროკავშირში, ვუპასუხებ ხოლმე ერთი ფრაზით: **„ვინც ამ ორ ორგანიზაციაში შესვლის დაპირებას იძლევა, ან სულელია, ან მატყუარა, მესამე არ არსებობს“.**

– ცოტა ხნის წინათ სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტის – პოროშენკოს მრჩევლად დანიშნეს. საქართველოს ექს-მეთაურის ამ თანამდებობაზე დანიშნვა, საეჭვოა, კადრების დეფიციტთან ყოფილიყო დაკავშირებული. აქედან კითხვა – რამ აიძულათ, მიეწვიათ ამ პოსტზე ასეთი არაერთმნიშვნელოვანი პერსონა?

– გასულ წლებში ამერიკელებმა კოლოსალური თანხა დახარჯეს ე. წ. „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მოწინავე რაზმების მომზადებაზე, რეფორმატორებზე, რომლებიც მოწოდებულნი არიან, შეცვალონ ქვეყნის საშინაო ცხოვრება და გადაიყვანონ ისეთ კალაპოტში, რომ სახელმწიფო ეროვნულ ინტერესებს ვეღარ დაუბრუნდეს.

ბუნებრივია, როდესაც ასეთი კარგად მომზადებული და დაფინანსებული ადამიანების ჯგუფი საქართველოში უსაქმოდ დარჩა, მისი ნაწილი გადაისროდეს იქ, სადაც ყველაზე მეტად სჭირდებათ – უკრაინაში. სწორედ უკრაინაა ახლა ის პოლიგონი, რომელზეც ამერიკელებმა გადაწყვიტეს, მოსინჯონ ის, რაც თავის დროზე არ გამოუვიდათ საქართველოში – რუსეთის ჩათრევა ომში.

ფიქრობ, გავა დრო, უკრაინაში ხალხი გამოფხიზლდება და მათში გაიღვიძებს ეროვნული ღირსება, რომელიც ძალიან არის შეზღავდული იმ ფაქტითაც კი, რომ უკრაინელების ხელმძღვანელებად საქართველოს, ბალტიისპირეთის, პოლონეთის წარმომადგენლები მიიწვიეს. ჩემი აზრით, უკრაინელ ხალხს თავისი ისტორიის განმავლობაში არასოდეს განუცდია ასეთი დამცირება. თუმცა ადამიანებს ისე აურიეს გონება, რომ ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ, რა დამამცირებელია ეს ერისთვის; დროთა განმავლობაში, ალბათ, გამოფხიზლდებიან და ამ ყველაფერს ბოლოს მოუღებენ.

საკაშვილისა და მისი თანაგრძნობლების სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშვნის უკან კი დგას სწორედ აშშ-ის სურვილი, დრო და ფული არ დახარჯოს ახალი კადრების მომზადებაზე. ასეთები საკმაოდ არიან მომზადებული თვითონ უკრაინაშიც, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართული გუნდის დამანგრეველი გამოცდილება, რომელიც საქართველოში 9 წლის განმავლობაში დააგროვეს, ისე მოსწონს ამერიკელებს, რომ გადაწყვიტეს, ეს ჯგუფი უკრაინაშიც ჩანერგონ დამანგრეველი პროცესების დასაჩქარებლად.

ირინა ბრომონა, ანალიტიკური პორტალი RuBaltic.ru



# სამეგრელოს საისტორიო გეოგრაფია იაკობ რაინეგის სამოგზაურო ჩანაწერებში და თანამედროვე ისტორიოგრაფია შესავალი

ისტორიული ოდიში (სამეგრელო) უძველესი დროიდან იქცეოდა უცხოელ მოგზაურთა და სწავლულთა ყურადღებას. ამ კუთხით დაინტერესებას განაპირობებდა მასზე გამავალი მნიშვნელოვანი სტრატეგიული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კომუნიკაციები. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ორ მამადიანურ სახელმწიფოს შორის მოქცეული ქრისტიანული ქვეყნის მესვეურები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებას ევროპის სახელმწიფოებთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოში კათოლიკობის გავრცელებისა და კათოლიკურ ეკლესიასთან, აგრეთვე სხვა ევროპელ მეცნიერ-მოგზაურებთან ურთიერთობის ისტორია. ქართველი მეფე-ბატონიშვილები, მთავრები და მოწინავე ფეოდალები მჭიდრო ურთიერთობას ამყარებდნენ მათთან. გვიან შუა საუკუნეებში ისინი ცდილობდნენ ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ ევროპის სახელმწიფოთა მიერ იმთავითვე გამოკვეთილი აქტიური და უაღრესად პოზიტიური პოზიცია, ე. წ. დასავლური „გარეგანი იმპულსები“, გამოეყენებინათ ირან-ოსმალეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ.

XVIII საუკუნის 80-იანი წლების სამეგრელოსა და, საერთოდ, საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის უაღრესად საყურადღებო წყაროა გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის – იაკობ რაინეგის ნაშრომი, რომელმაც დაგვიტოვა მნიშვნელოვანი ცნობები სამოგზაურო ჩანაწერების სახით. აღნიშნული თხზულება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქვეყნის გეოგრაფიული აღწერის თვალსაზრისით. გერმანელი მოგზაური აღწერს საფლავ-ბელაშისა და მათ საზღვრებს, ქალაქებს, სოფლებს, ეკლესიას-მონასტრებს, მდინარეებს, ხიდებს, გზებს, მთებს, ტყეებს, ნიადაგებს და ა. შ.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ უკანასკნელ ხანს რეგიონული და რეგიონთაშორისი ურთიერთობები კვლავ ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა და, მასთანავე, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ისტორიისადმი მკვლევართა ინტერესის საგრძნობლად გაზარდილია, მიზნად დავისახეთ ერთი კონკრეტული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის – ოდიშის (სამეგრელოს) ისტორიული წარსულისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული საისტორიო გეოგრაფიის მთელ საკითხებზე საგანგებო გამოკვლევის შექმნა.

აღნიშნული პოლიტიკური ერთეულის ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხებისადმი ინტერესი იმითაცაა გამოწვეული, რომ ევროპელ მოგზაურთა ნაშრომები, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში თარგმნილი და გამოქვეყნებული, ამ კუთხით სათანადოდ არ არის შესწავლილ-გაანალიზებული.

აქვე შევნიშნავთ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ამ პოლიტიკური ერთეულის საისტორიო გეოგრაფიის მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას იაკობ რაინეგის სამოგზაურო ჩანაწერების მიხედვით. ქართველმა მეცნიერებმა სათანადოდ მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და კომპეტენტურობით საფუძვლიანად განიხილეს ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის მრავალი საკვანძო საკითხი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ კვლავაც შესასწავლი და გამოსაკვლევი.

ოდიშის შესახებ უცხოელ ავტორთა მონაცემების ისტორიულ რეალიტეტთან თუ სხვა წყაროთა გარკვეულ ცნობებთან შეჯერებით, აგრეთვე საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, გვეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ მთელი რიგი საკითხებისა ახლებურად იქნას გააზრებული; ამასთანავე, გასწორდეს და დაზუსტდეს ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის ლოკალიზაციისა და მდებარეობის გარკვეული უზუსტობანი. ნაშრომში ასევე მოხმობილია დამატებითი საარქივო და სამეცნიერო მასალა, აგრეთვე ტოპონიმური მონაცემები ცალკეული საკითხების დასაზუსტებლად.

საკითხის წყარომცოდნეობითი ბაზის შესახებ მსჯელობა, ბუნებრივია, იაკობ რაინეგის უნდა დაეწყო. მისი ნაშრომის პირველი გამოცემა განხორციელდა 1796 წელს, გერმანულ ენაზე, შრედერის მიერ, სახელწოდებით – „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“, ნაწილი I (გელაშვილი, შესავალი წიგნისა: რაინეგის 2002: 25). მასალათა მეორე, ჩვენთვის საინტერესო ნაწილი გამოიცა 1797 წელს (იქვე: 26). 1783 წელს „მრდილოეთის სტატიების“ III ტომში აკადემიკოსმა პალასმა დაბეჭდა იაკობ რაინეგის კავკასიაში მოგზაურობისა და საქართველოს მოკლე აღწერილობის შემცველი წერილი, სათაურით – „მოკლე ამონაწერი საქართველოს ისტორიიდან“ (იქვე: 26-27). ამის შემდეგ რაინეგის მოგზაურობის რამდენიმე გამოცემა განხორციელდა. მათ შორის გამორჩეულია 2002 წელს გაი გელაშვილის მიერ განხორციელებული გამოცემა, რასაც ერთვს მთარგმნელის ვრცელი შესავალი. ჩვენ სწორედ ამ გამოცემას ვყვართ. ჩვენი კვლევითის საინტერესო ცნობები გადმოცემულია ნაშრომის იმ თავში, რასაც შემდეგი სახელწოდება აქვს: „მეგრელები და ლეჩხუმი“.

ი. დ. გერსტენბერგი რაინეგს იმ დღის შესანიშნავ მოგზაურთა რიცხვს მიაკუთვნებს, რომლებმაც სახელი გაითქვა სახიფათო მოგზაურობითა და საკვირველი თავგადასავლებით. მან დაგვიტოვა სხვადასხვა ქვეყნებში თავისი ოდისევესებური ცხრაწლიანი მოგზაურობის ამსახველი ვრცელი ნაშრომი, მაგრამ დიდხანს ბურუსით იყო მოცული მისივე ბიოგრაფიული დეტალები. რაინეგის უერთგულეს მეგობრებსაც კი თავის ნამდვილ ვინაობას უმაღლავდა (იქვე: 49). „უთუოდ იბადება კითხვა, ნუთუ რაინეგსმა, რომლის მთელი ცხოვრება ასე რომანტიული იყო, არ მოიხურება თავისი მეგობრებისათვის შეუფერადებელი სიმართლე ეთქვა. სხვანაირად არ შეიძლება დაეუშვათ; მას ისინი ყოველთვის საქმის კურსში ეყოლებოდა, რაც რუსეთში მიღებული თანამედრობის გამო უსარგებლო არ იქნებოდა“ (იქვე: 50).

სადღესოდ გერსტენბერგის მიერ შეკრებილი წერილები, დოკუმენტები და თანამედროვეთა მოგონებები რაინეგის ბიოგრაფიულ შტრიხებს შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: იგი დაბადებულია 1744 წლის 27-28 ნოემბერს, საქსონის ქალაქ აისლენგენში (მანფელდის საგრაფო). მისი ნამდვილი სახელია ქრისტიან-რედოლფ ელიხი. ერთხანს ქირურგისა და დალაქობის მისდევდა. 1762 წლიდან, ლაიფციგში გადასვლის შემდეგ, საქმის ხელყოფა შეიწყვიტა. შემდეგ რაინეგის გვართი ექიმად მოღვაწეობდა ვენეციაში, ხოლო მსახიობად – ვენაში. რაინეგის ფლობდა თურქულ, სპარსულ, სომხურ, ქართულ, ფრანგულ და რუსულ ენებს. ავადმჯობრებულ ძალზე მზრუნველი, უნაგარო და პატიოსანი კაცის სახელით უარგებლობდა (იქვე: 7-9, 25). რუსეთის ტახტის ერთგულებისადმი ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეების კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით რაინეგსმა, როგორც რუსეთის საქმეთა რწმუნებულმა, გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინის დაავალებით, საქართველოს მოაშურა. 1782 წლის 9 ოქტომბერს იგი მოზღოში იმყოფებოდა, ხოლო იმავე წლის 6 დეკემბერს უკვე ტფილისში ვხვდავთ. მასწავლავს, საქართველოში მისი ჩამოსვლა 1782 წლის ოქტომბერ-დეკემბერს შორის პერიოდში უნდა ვიგულისხმოთ. 26 დეკემბერს თბილისიდან ეწმიაძინს მიემგზავრება, სომხეთის კათალიკოს ღუკასთან შესახვედრად (იქვე: 18). 1783 წლის 28 იანვარს კვლავ თბილისშია, საიდანაც იმავე წლის მაისის ბოლოს გაიწვიეს და ეახლა პ. ს. პოტიომკინს. ამის შემდეგ, 1784 წლის შემოდგომაზე, სამიოდე კვრით კვლავ საქართველოშია (იქვე: 21-22). შემდეგ ერთხანს ასტრახანში, სამედიცინო კოლეჯის სწავლულ მდივნად მოღვაწეობდა; იყო პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული სკოლის დირექტორი (იქვე: 22-23). იაკობ რაინეგის უცვლად გარდაიცვალა 1793 წლის მარტის თვეში. გერსტენბერგი 49 წლის ასაკში მისი გარდაცვალების მოხუხად ასახელებს აღმოსავლეთში ყოფნისას რაინეგის მიერ ყაყაჩოს წვენი და ოპიუმის დიდი რაოდენობით მიღებას. გარდაცვალებამდე 4 წლით ადრე მას

ცხვირიდან სისხლდენა დაწყებია, რაც განსაკუთრებით ზამთარში ურთულდებოდა (იქვე: 24).

რაინეგის თხზულებაში მოცემული ისტორიული ცნობების გასაზრებლად მოვიხილოთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ წინამორბედ და მომდევნო თაობის ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა და მოგზაურთა იმ ცნობებს, რაც საკვლევი თემატიკასთანაა დაკავშირებული. ამასთანავე, შევეცადეთ, ნაშრომში შეძლებისდაგვარად აგვესახა საკითხი, თუ როგორ არის წარმოდგენილი ოდიშის საისტორიო გეოგრაფია გერმანელი მოგზაურის ნააზრევში, და ამავედროულად განვიხილავს საგნად გვექცია ისტორიული ლიტერატურა, თემატიკასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის თანამედროვე ვითარება, ვინაიდან ჩვენი კვლევითების საგანს ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის საკითხებთან ერთად, საკუთრივ ისტორიული ლიტერატურა, როგორც ქართული ისტორიოგრაფიის წყარო, წარმოადგენს.

რაინეგის ცნობებს ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის შესახებ მნიშვნელოვნად ავსებს მისი წინამორბედი, თანამედროვე და მომდევნო თაობის უცხოელი და რუსი ავტორების – არქანჯელო ლამბერტის, ქრისტეფორე დე კასტელის, ჟან შარდენის, მაკარი ანტიოქელის, დონ ჯუზეპე ჯუდიჩი მილანელის, იოჰან ანტონ გიულდენშტედტის, მორიც ვაგნერის, ელჟარდ აიხვალდის, აუგუსტ პაქსტაუზენის, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს, ჟაკ ფრანსუა გამბასა და სხვათა სამოგზაურო ჩანაწერები და მოგონებები.

იაკობ რაინეგის ჩანაწერებზე მსჯელობისას ვიმოწმებთ და ვაანალიზებთ არსებულ წყარომცოდნეობით ბაზას და ასე ვცდილობთ ზოგიერთი ბუნდოვანი თუ სადარ საკითხისა და ცალკეული ფაქტის დაზუსტებას.

## სამეგრელოს მდებარეობა და საზღვრები. სახელწოდება „ოდიში“

იაკობ რაინეგის ცნობით, მეგრელი ან სამეგრელო ეწოდება საუკეთესო მდებარეობის მქონე, ზოგან დაბლობ, ზოგან მთავორაკიან პროვინციას, რაც უწინ კოლხეთს ეკუთვნოდა. სახელწოდება „სამეგრელო“ მას მოგვიანებით, თათართა ბატონობის დროს უნდა მიეღო. კოლხეთს ანუ ლაზეთს ძველად სპარსელები, რომაელები და ბერძნები მონაცვლეობით იპყრობდნენ და ანადგურებდნენ და ქვეყანაც დამყრობლების მიერ შექმნილ სხვადასხვა სახელს ატარებდა. რაინეგის იმეორებს ცნობილ სომეხ ისტორიკოს მოსე ხორენაცის და შენიშნავს, რომ ამ პროვინციას პირველად ეპერია დაერქვა და იქაური მმართველი მთავარიც ეგრისის ბატონად იწერება. მისთვის ისიც ცნობილია, რომ იმერეთის სამეფოსაგან დამოუკიდებლად არსებობის პერიოდში სამეგრელოს, აგრეთვე, სადადიანო ეწოდებოდა (რაინეგის 2002:119).

რაინეგის ცნობების სისწორე დასტურდება სხვა წერილობითი წყაროებითაც. XVIII ს-ის დიდი ქართველი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და სახელმწიფო მოღვაწის – ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის იმ თავს, სადაც ოდიშზე მსჯელობაა მოცემული, შემდეგი დასათაურება აქვს: „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“. სათაური სხვადასხვა ეპოქის ამსახველ სამ ქრონოიმს აერთიანებს. ამას გარდა, ვახუშტი ნაშრომში კიდევ აღნიშნავს: „ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი“ (ვახუშტი IV, 1973: 742). ისტორიულად არსებული და წერილობითი წყაროებით დადასტურებული სამი პოლიტიკური ერთეული – ეგრისის, აფხაზეთისა და იმერეთის სამეფოები სახელოვანი მეცნიერის ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომის საფუძველს წარმოადგენდა.

ეგრისის სამეფო ერთიანებდა არგვეთს, იმერეთს, თაკვერს (დღევანდელ რაჭა-ლეჩხუმს), გურიას, კლარჯეთს (ძირითადად დღევანდელ ლაზეთს), სვანეთს, დღევანდელ სამეგრელოს და აფხაზეთის ზემო ნაწილს ანაკოფიის მთამდე.

ეგრის-აფხაზეთის ბიზანტიის ბატონობიდან გათავისუფლება და აფხაზეთა სამეფოს შექმნა დაკავშირებულია ლეონ I-ის სახელთან. აღნიშნულ პოლიტიკურ ერთეულს აფხაზეთა სამეფო ეწოდა აფხ-

აზეთის სამთავროს წამყვანი როლის გამო. თვით ლეონმა მიიღო აფხაზეთის მეფის ტიტული. ეს აქტი განხორციელდა VIII ს-ის დასასრულს. აფხაზეთის სამეფო მოქცეული იყო ნიკოფსიასა და ჭოროხს შორის და აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე ვრცელდებოდა. მის დედაქალაქს ქუთაისი წარმოადგენდა. აფხაზეთის მეფენი ზოგჯერ ეგრისის მეფეებდ იწოდებოდნენ. 978 წელს „აფხაზეთა სამეფოს“ ტახტი დაიკავა დედით აფხაზეთის მეფეების შთამომავალმა ბაგრატ III ბაგრატიონმა. იგი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე გახდა.

იმერეთის სამეფოს წარმოქმნა ერთიანი საქართველოს დაშლის შედეგი იყო. თუკი ეგრისი ადრე (მსგავსად აფხაზეთისა, იმერეთისა) გათავისუფლებული იყო მთლიანად დასავლეთ საქართველოსთან, XIII-XV საუკუნეებში უკვე ვიწრო მნიშვნელობით აღნიშნავდა მეგრელთა ეთნოგრაფიული ჯგუფით დასახლებულ მხარეს, რაც ანაკოფიისწყალსა (ახლანდ. მდ. ფსირცხა) და ცხენისწყალს შორის იყო მოქცეული.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ იაკობ რაინეგის ოდიშს უწოდებს ქვეყნის მხოლოდ ერთ, ზღვისპირა ნაწილს: „ამ პროვინციის სახელი არის აგრეთვე ოდიში; მაგრამ მცოდნე მეგრელებმა დამიდასტურეს, რომ ეს სახელი ძველია ქვეყნის იმ მხარეს, რომელიც ზღვის ახლოს მდებარეობს და წარმოსდგება ძველი ქალაქის ოდიშის სახელიდან, რომლის ნანგრევებიც ჯერ კიდევ ორმოცდაათი წლის წინ ზღვის ნაპირზე შეიმჩნეოდა“ (იქვე). მისივე ცნობით, სამეგრელოს დასავლეთის საზღვარს მდინარე ენგური ქმნის, ხოლო პიპოსი (ცხენისწყალი) მიედინება ლეჩხუმზე, გამოყოფს სამეგრელოს იმერეთისაგან (იმერეთისაგან – ი. კ.) და ტრედიასთან (სამტრედია) შეერთვის რიონს (იქვე:120). იმერეთის სამეფოს გეოგრაფიულ აღწერაზე მსჯელობისას რაინეგის შენიშნავს, რომ იმერეთს (იმერეთს) დასავლეთით ზღვა გამოჰყოფს გურიისაგან, ხოლო პიპოსი – სამეგრელოსაგან (იქვე: 124). აფხაზეთის საზღვრებზე მსჯელობისას მიუთითებს, რომ აბაზას (Avasa) ქვეყანას ჩრდილო-აღმოსავლეთით სვანეთი ესაზღვრება, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი – მდ. ენგური და სამეგრელოს სამთავრო (იქვე: 108). მასთანავე, რაინეგის ცნობების ერთიერთ-შეჯერებით ირკვევა, რომ სამეგრელო მოქცეული იყო ენგურსა და ცხენისწყალს შორის. ამ შემთხვევაში მოცემულია XVIII ს-ის 80-იანი წლების ვითარება, მაგრამ წერილობითი წყაროების გაანალიზება ცხადყოფს, რომ ოდიშის საზღვრები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა იყო (მსჯელობისათვის იხ. კეკელია 2014: 11-15).

გვიან შუა საუკუნეებში ოდიშის საერისთავოს ბაზაზე შექმნილ სამთავროს „ოდიში“ ეწოდა, თუმცა უცხოურ წერილობით წყაროებში „სამეგრელოდან“ ნაწარმოები სახელწოდებებიც გვხვდება (ბერაძე ქსე, VIII, 1984: 711).

თანამედროვე სამეგრელოს ძირითადი ნაწილი შუა საუკუნეებში ოდიშის სახელწოდებით იყო ცნობილი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით კი ოდიში სამეგრელოს სამთავროს პარალელური სახელწოდებაა.

სახელწოდება „ოდიშის“ პირველმოსხენიებას ვხვდებით XI ს-ით დათარიღებულ „ანდრია სალოსის ცხოვრების“ ხელნაწერში. მასში ვკითხულობთ: „დემეტრიან უწყის რაიცი ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოდა, კარგად ქმნასა და სიმართლესა დია მოვიჭირე, მაგრამ დედაი ოდიშს დაწერილი იყო“ (სსმ III, 1948: 291; ბერაძე: 460-461).

„ოდიშის“ ეტიმოლოგიის პირველი ცდა მოცემულია ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში: მეცნიერი ფიქრობს, რომ მისი წარმოქმნა ფარნავაზის ეპოქას უკავშირდება. ამ შემთხვევაში იგი ეყრდნობა XI საუკუნის მემატიანის – ლეონტი მროველის ცნობას. ვახუშტის ცნობით, „ხოლო... განდგნენ რა ეგრისის მდინარის იქითნი და მიერთნენ ბერძენთა, იტყვიან: „ოდიში იყოვე ქუეყანა იგი ჩუენი“, და ისახელენ აწამდე ესრეთ“ (ვახუშტი IV, 1973: 776).

**ილორო კეპელია, მეცნიერებათა დოქტორი, (გაგრძელება შემდეგ ნომერში)**





# სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოში დესტაბილიზაციას ამზადებს! – საქინფორმის საბანბეპო განცხადება

საქინფორმი. საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმისთვის“ ცნობილი გახდა ინფორმაცია, რომლის შემოწმებაც მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეცსამსახურების კომპეტენციაში შედის, მათ ხელთ არსებული ექსპლუზიური უფლებებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე (ტექნიკური არხენალი, აგენტურული ქსელი და სხვ).

საქინფორმი მხოლოდ აღნიშნავს, რომ ცალკეული ფაქტები სხვადასხვა, ერთმანეთთან კავშირში არმოყვით წყაროებიდან, რომლებიც უწინ სააგენტოს მიეწოდებოდა, მიუთითებს ახალმიღებული ინფორმაციის უტყუარობაზე. მაშ ასე.

მუშაობის შიდა დაპირისპირებებისა და არაკომპეტენტური არასაიმედო კადრების წყალობით, კოალიცია და პარტია „ქართული ოცნების“ რეიტინგის არსებითი ვარდნის ფონზე ექსპლუზიური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელობა ამუშავებს სცენარს, რომელიც მიმართულია საქართველოში სიტუაციის დესტაბილიზაციისკენ, მოქმედი მთავრობის უუნარობის დემონსტრაციისა და ხელისუფლებაში ექსპრესიდიენტო მიხეილ სააკაშვილის დაბრუნების მიზნით.

ამასთან დაკავშირებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რადიკალური ფრთის წარმომადგენლების მიერ, რომლებიც, ძირითადად, საქართველოს შსს-სა და თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი ხელმძღვანელებით არის წარმოდგენილი, უშიშროების საბჭოს ექსპლუზიური გეგმა ბოკერიახელმძღვანელობით მომზადებულია რეგანსისტული გეგმა, რომელიც სახელმწიფოში კრიმინოგენური ვითარების ხელშეწყობის გამოწვევასა და პანიკის ატმოსფეროს შექმნას ითვალისწინებს.

ამ გეგმაში საკვანძო როლს თამაშობენ: თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაციის ექსპლუზიური ანტი-სააკაშვილის ე. წ. საპრეზიდენტო ბობლითიკის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ანდრო ბარნოვი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბანანა ახალაია და მისი დვიდი ძმა – საქართველოს თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე და საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ექსპლუზიური დანა ახალაია, ასევე საქართველოს თავდაცვის ექსპლუზიური დავით კეზერაშვილი და საქართველოს იუსტიციის ექსპლუზიური ზურაბ ადვიშვილი.

ამ მიზნით, „ქუთაისის დანაშაულებრივი კლანის“ კონტროლქვეშ მყოფი წარმომადგენლების მეშვეობით, რომლებსაც სათავეში უდგას ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი ტარიელ ონიანი, იგეგმება რეზონანსული დანაშაულებების სერიის განხორციელება ცნობილი პოლიტიკოსების, ბიზნესმენებისა და საქართველოს საზოგადო მოღვაწეთა წინააღმდეგ.

ამასთან ერთად, აუცილებლობის შემთხვევაში, მუშავდება რიგი ტერორისტული აქტების ორგანიზების შესაძლებლობა პანიკის ხეობის, აჭარისა და ქვემო ქართლის ტერიტორიებზე. აღნიშნულ მიმართულებაზე პასუხისმგებელი შემსრულებელი, სავარაუდოდ, საქართველოს შს მინისტრის ყოფილი მოადგილე, შსს-ს ანტიტერორისტული ცენტრის ექსპლუზიური გეგმა ლორთქიფანიძეა, რომელმაც თავისი პოზიციები შეინარჩუნა საქართველოს რადიკალურ ისლამისტთა ხელმძღვანელობაში და აქტიურ მუშაობას განაგრძობს ერაყისა და ლიბიის ისლამური სახელმწიფოს რაზმებში ახალი წევრების გადამზადებად (რასაც ადასტურებს ბოლო ხანს სირიაში საბრძოლო მოქმედებებში, დაქირავებული ბოვიეების სახით, ახალგაზრდა პანიკისელების მონაწილეობის გახშირებული ფაქტები).

ძალისმიერი მხარდაჭერისთვის ასევე იგეგმება მიხეილ სააკაშვილის ემისიების მიერ გადამხრებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე მოხალისეთა ამოქმედება (ე.წ. „ATO“-ში – „ქართული ლეგიონიდან“ და „მემარჯვენე სექტორის“ სხვა გასამხედროებული ქვედანაყოფებიდან, რასაც, განსაკუთრებით არც კი მაღავენ).

ამავდროულად, ქართული ძალის სტრუქტურების მოქმედებების პარალელურად, ხელისუფლების დეზინფორმირების, მთავრობის კონტრზრახვებისა და გეგმების შესახებ წინმსწრები ცნობების მიღების მიზნით, გამოყენებული იქნებიან აგენტები ე.წ. „მეხუთე კოლონიდან“ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებსა და სპეცსამსახურებში, ჯერაც რომ ვერ გაუუფლებელიყოფიან.

დასასრულ შევახსენებთ, რომ საქინფორმის ყველა წინა მსგავსი გაფრთხილება, სამწუხაროდ, მართლდებოდა და საჯაროდ ოფიციალურად დასტურდებოდა მოქმედი მთავრობის ხელმძღვანელების მიერ (საქართველოს პრემიერ-მინისტრის, შს მინისტრის და სხვ).

ამიტომ, ვფიქრობთ, რომ დღეს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და შს მინისტრი ვახტანგ გომელაური ვალდებული არიან, ოპერატიული რეაგირება მოახდინონ შემომოყვანილ ახალ ინფორმაციაზე – გადაამოწონ ის თავისი არხებით და მიიღონ პრევენციული ზომები.

საქინფორმი



# განცხადება კარიკატურული შინაჯაჯანიძის ე. წ. თოქშოუსთან დაკავშირებით!

მამულიშვილო! გასული კვირა ენების კვირა იყო! ამიტომ, შეგნებულად ვარიდებდი თავს პოლიტიკური ხასიათის ე. წ. თოქშოუსებისათვის მიმედევნებინა თვალი! შემდგომ გავიგე, რომ წითელი პარასკევის წინა საღამოს „ტემიფი“-ს არხზე, გაურკვეველი ორიენტაციის პერსონის, კარიკატურული გია ჯაჯანიძის საავტორო გადაცემაში თურმე შეკრებილან მავანნი და უმსჯელიათ 1991-92 წლების პუტჩზე და მისგან გამომდინარე მოვლენებზე! ამ საღამოს მომეცა შესაძლებლობა შენახა იმ გადაცემის ვიდეონაწერი... ახლა, რა მინდა განვაცხადო: მე, ზურაბ კვარაცხელია გახლავართ ის პიროვნება, რომელმაც, როგორც ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრმა თავის დროზე მოვაწერე ხელი იმ განკარგულებას, რომელზეც ამ ე.წ. თოქშოუსში აპელირება გააკეთა სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების ერთ-ერთმა აქტიურმა მონაწილემ და სამეგრელოს მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტაში არცთუ უსაფუძლოდ ეჭვმიტანილმა „პიპლიკოზა“ ქალბატონმა დოდო გუგუშაშვილმა! სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: რა თქმა უნდა „ეთერ მაგნოლია“ წოდებულმა კრიმინალმა ბანოვანმა განკარგულების ტექსტი კონტექსტიდან ამოგლეჯილად წარუდგინა საზოგადოებას! რა თქმა უნდა, ის განკარგულება სრულიად შეესაბამებოდა მოცემულ სიტუაციას და მიმანია, რომ იყო აბსოლუტურად გამართლებული ყველა თვალსაზრისით! კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მაშინ მე ვიყავი ერთერთი ინიციატორი იმ განკარგულების, რომელიც მივიღეთ ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტმა და კანონიერი ხელისუფლების მომხრე შეიარაღებულმა ძალებმა ერთობლივად! ასე, რომ კატეგორიულად მიუღებელია ჩვენთვის საქართველოში მიმდინარე ტრაგიკულ პროცესებზე პასუხისმგებლობის აკიდება! საქართველოში მომხდარ პუტჩზე და მისგან გამომდინარე სავალალო შედეგებზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება ე.წ. დემოკრატიულ ოპოზიციას და მისგან სტიმულირებულ შეიარაღებულ ბანდიტურ ფორმირებებს, რომლის წევრიც ასპროცენტური ალბათობით გახლდათ ზემოთხსენებულ თოქშოუსში მონაწილე აწ უკვე „ბანდერისტა“ ქალბატონიც!

თუ რა სავალალო შედეგები მოიტანა მამათელი „დიდი პოლიტიკოსის“ სახელისუფლებო შეიარაღებული ბანდების თარეშმა სამეგრელოში და სრულიად საქართველოში – სრულიად აშკარაა და თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ამაში, მაშინ პირდაპირ ვეტყვი ამ კატეგორიის ადამიანებს, რომ კარგად გაახილონ თვალი და შეხედონ გავერანებულ ქვეყანას!

აშკარაა, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ გასული საუკუნის 90-ან წლებში მომხდარი გადატრიალების და სამეგრელოში ჩადენილი დანაშაულობების სამარცხვინო ღაქა მოწმინდონ პუტჩისტურ ელემენტებს! აშკარაა, რომ ამგვარი დამოკიდებულება არანაირად არ შეუწყობს ხელს ეროვნული სხეულის გამოლიანებას! აშკარაა, რომ ასეთი მიდგომით კიდევ უფრო მეტად ღრმავდება დაპირისპირება!

დროა საზოგადოება კარგად დაფიქრდეს და მიხედეს იმას, რომ სამხედრო-კრიმინალური პუტჩის პირობებზე შეფასების პოლიტიკური და გენეპოტ სამართლებრივი თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა მაინც აქვს უდიდესი მორალური მნიშვნელობა! ეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა და ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს!

და ბოლოს, ზვიადისტებად წოდებულ ზოგიერთ ჩემს თანამემამულეს დაბეჯითებით მოვუწოდებ: ნუ მიდიხენ მონაწილეობას საეჭვო ტიპის თოქშოუსში... და, თუ, მაინც გადაწყვიტებ ამაში, მაშინ კუთილი ინებონ და ღირსეულად და კომპენტენტურად წარმოაჩინონ ის მოვლენები, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის 90-ან წლებში... ასევე, ღირსეულად დაიცვან ის ფასეულობები, რომელსაც ვიცავდით და ვიცავთ დღემდე ეროვნულ-პატრიოტული ძალები!

ზურაბ კვარაცხელია, ზუგდიდი

# ბამოხმასურება ბაზეთი „ილორის“ წინა ნომერში დაბეჭდილ წერილზე – „ვინა ხარ შენ, დოქტორო მარბველავილი?“

„ქართველი ერი არის დებილი და გონება-ჩლუნგი, ის ფიზიკურად გაიზარდა, მაგრამ დარჩა გონებაჩლუნგობის სტადიაში“.

ბ. მარბველავილი

ამას წინათ ფეისბუქზე გამოქვეყნებულ, ამ უტიფარ, ფილოსოფიურ განაჩენს მოჰყვა ჩემი კომენტარი:

– გიორგი მარბველავილი მართალია, როცა ასეთ მაღალფილოსოფიურ დასკვნას აკეთებს ქართველი ერის დასახასიათებლად!

„ჯიპას“ ყოფილ რექტორს და ფილოსოფოსს, უტყუარია, წლების მანძილზე, „მუხლანაუსრედად უმუშავია“ ამ თემაზე და ბუნებრივია მივიდა „წყაღაგუაყად დასკვნამდე“

ღაზით ძობალია

# აგებუი საგებრელოდან შეხვედრა „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბის“ წევრებთან



სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციის ინიციატივით, რეგიონის მასშტაბით ხორციელდება პროექტი „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბი“. სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით პროექტის ფარგლებში აირჩა 5 ახალგაზრდა, რომლებიც სამი დღით გაემგზავრებიან მესტიაში ტრენინგ-სემინარებზე. გამგზავრების წინ ახალგაზრდებს

შეხვედა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი გონა დგებუაძე და გამგებლის მოადგილე ნატო ფულარია, რომელიც გაესაუბრა მათ სამომავლო გეგმებსა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ახალგაზრდობის აქტიურობის მნიშვნელობაზე.

# ბაჭყალითი სამუშაოები საავტომობილო მარბისტრალზე

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სენაკის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით, ახორციელებს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ ორივე მხარეს კმ. 292-დან კმ. 299-მდე კიუვეტებისა და მიღების გაწმენდით სამუშაოებს. აღნიშნული სამუშაოები საავტომობილო გზების მოვლა-პატრონობის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. შედეგად, აცილებულ იქნება გზის საგალი ნაწილის, აგრეთვე, ეზოებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების დატბორვის საშიშროება.



არასამთავრობო ორგანიზაციები – „მეხუთე კოლონა“ სახელმწიფო დეპარტამენტის ხელში



უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში პოსტსაბჭოთა სივრცეში და განსაკუთრებით საქართველოში, ეტაპობრივად მრავლდებოდნენ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები. როგორც უახლესი ისტორია გვიჩვენებს, ისინი ცდილობდნენ მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინათ საზოგადოებრივი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროზე და განსაკუთრებით პოლიტიკურზე. მათი წარმომადგენლების მიერ, საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებს თუ დავეყრდნობით, შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნა გამოვიტანოთ: მათ მიზანს წარმოადგენს, პოსტსაბჭოთა სივრცის საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია და ამ უკანასკნელის გარდაქმნა, დასავლურ, კათოლიკურ-პროტესტანტულ მოდელის ფარგლებში. ამიტომ, დღეს მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა, ნებისმიერი სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციის მსგავსად, ეფუძნება კონკრეტულ იდეოლოგიურ პლატფორმას. იდეოლოგიურ საკითხებში გარკვეული ადამიანისათვის, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომელი იდეოლოგიურ თუ მსოფლმხედველობრივ მიდინარეობაზეა საუბარი. კერძოდ, ეს განხილავთ ინდივიდის თავისუფლების პრიმატზე დაფუძნებული ლიბერალური იდეოლოგია, რომელსაც თავის მხრივ, ფრანგმა ფილოსოფოსმა ალენ დე ბენუამ ადამიანის უფლებების იდეოლოგია უწოდა.

ზოგიერთს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა: რატომ უნდა იყოს დასაძრახი რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა, თუ ის ადამიანის უფლებებს იცავს? ერთი შეხედვით, აღნიშნულ საკითხებში გაურკვეველი ადამიანისათვის კითხვა შეიძლება ჩანდეს ჩამტკრელად და პუმანური პრინციპებიდან მოაზროვნე პიროვნების მხრიდან, მასზე კონტრპასუხის გაცემის სურვილის მცდელობაც ნულამდე დაჰყავდეს.

ამიტომ აღნიშნული საკითხში გარკვევისათვის, პირველ რიგში ჩვენთვის აუცილებელია შევძვეთ კითხვის დასმა: ზოგადად, სამოქალაქო სექტორის და არასამთავრობო ორგანიზაციების დამფინანსებლობისათვის პირობები რა არის ადამიანის უფლებების დაცვა პოსტსაბჭოთა სივრცეში და შესაბამისად საქართველოში, თუ მათ მიზანს წარმოადგენს გლობალური გეოპოლიტიკური აქტორის ინტერესების დაცვა და გაცემა?

ზემოთ ფორმულირებულ კითხვას პასუხი რომ გავცეს, აუცილებელია გადავხედოთ შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური აქტიურობის მეთოდებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, რაც მე ვიტყვი ყველაზე კარგად ჩანს პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე.

საინფორმაციო ეპოქის დადგომის პერიოდში, როდესაც ინფორმაციული ნაკადები ურთიერთგადახლართულია და ურთიერთდაკავშირებული ერთმანეთთან, ძალიან ადვილია შენი ფინანსური კონტროლის ქვეშ არსებული პროპაგანდისტული საშუალებების მეშვეობით გაავრცელო ისე იდეები, რომელიც უკეთ მოემსახურება დამფინანსებელი ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესებს. სწორედ აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის და კონკრეტულად, შეერთებულ შტატების პოლიტიკური ინტერესების გატარებისათვის, ამავე ქვეყნის ინტელექტუალურ წრეებში დამუშავდა ე.წ. (soft power)-ის ანუ რბილი ძალის კონცეფცია, რომლის ფუძემდებელი გახლავთ ამერიკელი ინტელექტუალი ჯოზეფ ნაი და რომელმაც შემდგენიარად განმარტა აღნიშნული კონცეფციის არსი – „ეს არის

ნიჭი, როდესაც სხვა ქვეყნებს სურთ ის, რაც შენს ქვეყანას უნდა...“

ერთი შეხედვით ამის განხორციელება შეიძლება ძალიან რთულად მოხადეს, ვინაიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოები ხომ თავის თავში მოიცავენ საგარეო პოლიტიკაში მოქმედებას, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, და იქ მოღვაწე პოლიტიკური თუ ინტელექტუალური ელიტებიც ხომ ამავე პრინციპების გათვალისწინებით უნდა მოქმედებდნენ და მოღვაწეობდნენ ამა თუ იმ ქვეყანაში. თუმცა, წამყვან ამერიკულ ინტელექტუალებს თუ დავეყრდნობით, ამის მიღწევა სრულყოფილია არ წამოიშობადგენს დიდ სირთულეს. ამ შემთხვევაში, მთავარია, მოახდინო ისეთი ადამიანთა ჯგუფის ფორმირება პატარა ქვეყნებში, მათი ხელშეწყობა და დახმარება, რომლებიც მხოლოდ შეერთებული შტატების ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებენ. ასეთი ტიპის ადამიანებს, ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა და სამხედრო სტრატეგმა სტივენ მანმა ვირუსები უწოდა. მისი აზრით, როგორც კომპიუტერული პროგრამის პერეფორმირება შესაძლებელია კომპიუტერული ვირუსის საშუალებით, ისევე შესაძლებელია იდეოლოგიური ვირუსის საშუალებით საზოგადოების აზროვნების შეცვლა შეერთებული შტატების ინტერესების შესაბამისად: „როგორც გვიჩვენებენ ჰაკერები, ყველაზე აგრესიული მეთოდი პროგრამების შეცვლის, დაკავშირებულია ვირუსთან, მაგრამ არსებობს კი იდეოლოგია სხვა დასახელებით ადამიანის პროგრამული ვირუსის გარდა?“. როგორც ჩვენს იარაღი, ამ იდეოლოგიური ვირუსით, აშშ შეძლებს აწარმოოს მძლავრი ბიოლოგიური ომი და ამოიჩინოს, ნაციონალური სტრატეგიიდან გამომდინარე, რომელი მიზანი-ერები უნდა დააინფიციროს დემოკრატიული პლურალიზმის და ადამიანის ინდივიდუალური უფლებების იდეოლოგიით... ამიტომ ჩვენს ნაციონალურ უსაფრთხოებას ექნება საუკეთესო გარანტიები, თუ ჩვენ მიუძღვნივთ ჩვენს ძალისხმევას იმ ქვეყნების გონის და კულტურების გადმოხრების საქმეში, რომლებიც განსხვავდებიან ჩვენგან. ეს გახლავთ ერთადერთი გზა ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნისთვის, რომელსაც ექნება გრძელი პერიოდი და გლობალურად ჩვენთვის მისაღები.“

მართალია, სტივენ მანი დემოკრატიული პლურალიზმის დამკვიდრების და ადამიანის უფლებების პრინციპების დაცვის გათვალისწინებით, ცდილობს ამერიკის გლობალური ინტერესების ფარგლებში მოაქციოს მათი ინტერესების სფეროში მოხვედრილი სახელმწიფოები, მაგრამ ამერიკის პოლიტიკური ნაბიჯების შემხედვარე ძალიან რთულია მთლიანობაში დაეთანხმოს ავტორს. შეერთებული შტატების ხელში ადამიანის უფლებების დაცვის მოტივი, მხოლოდ იდეოლოგიურ ნიღაბს, რომ წარმოადგენს ამაზე ამახვილებს ყურადღებას, მეორე უმსხვილესი ნიუ-იორკელი გეოპოლიტიკის ანალიტიკოსი ერიკ დრაიცერი: „აშშ და მათი მოკავშირეები, გადავიდნენ სტანდარტულ დემოგოგიაზე „ადამიანის უფლებების“, „სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლების“ და „დემოკრატიის“ შესახებ.“ რთულია ერიკ დრაიცერს არ დავეთანხმოთ, ვინაიდან არც ერთ ქვეყანაში, სადაც კი ცხვირი შეჰყვება, არა თუ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის კონტურები გამოჩნდა, არამედ თავიანთი პოლიტიკური ინტერესებით დავეყრდნენ ავტორიტარული მიდრეკილებების მქონე პოლიტიკურ ფიგურებს. შორს რომ არ წავიდეთ, ეს პოლიტიკა საქართველოში ნათლად აისახა, მიხედს სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის 9 წლიანი მართვლობის დროს. შეუძლებელია სპეციალისტმა და პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირებაში გარკვეულმა ადამიანმა, სააკაშვილის მიერ შექმნილ სისტემას, დემოკრატიასთან რამენაირად მიახლოებულიც კი უწოდოს.

მაგრამ ამერიკელები რაც არ უნდა პარადოქსულად ჩანდეს, პირველ რიგში ეყრდნობიან არა პოლიტიკურ ძალებს არამედ, ე.წ. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს არასამთავრობო ორ-

განიზაციების სახით, რომლებსაც პოლიტიკოლოგიურ წრეებში, ზოგჯერ „გავლენის აგენტურით“, ხოლო ზოგჯერ „მეხუთე კოლონიით“ მოიხსენიებენ. ამერიკელების მიერ გატარებულ პოლიტიკაზე დაკვირვებით, ჯერ მათ გამოზრდა ხდება, არასამთავრობო ორგანიზაციების წიაღში, ხოლო შემდგომ ახლენენ მათ რეკრუტირებას ანუ გადანაცვლებას პოლიტიკურ ელიტაში. ეს პროცესიც ძალიან კარგად ჩანს საქართველოს მაგალითზე. დაუკვირდით, დღეს საკვანძო თანამდებობებზე მყოფი პოლიტიკოსების უმრავლესობა NGO-დან გახლავთ გადმოსული პოლიტიკაში. იმავე მიდგომას ჰქონდა ადგილი, „ნაციონალური მოძრაობის“ მართვლობის დროსაც. აქვე მინდა დავამატო, რომ პოლიტიკაში გადასვლის შემდეგ, არასამთავრობო სექტორის შევსება ხდება, ისევე ახალი „ლიბერალური ვირუსების“ მეშვეობით. ამერიკელების მიერ შექმნილი, ეს სისტემური წრე მანამ გრძელდება ვიდრე, შეერთებული შტატები არ ამოწურავს თავის გეოპოლიტიკურ ინტერესებს, მათი ინტერესების სფეროში მოხვედრილ სახელმწიფოებში.

არასამთავრობო ორგანიზაციებს და ზოგადად სამოქალაქო სექტორს, ამერიკელები თავიანთი ნაციონალური ინტერესების გატარებისათვის რომ აფინანსებენ და იყენებენ, ამას არც პრეზიდენტი ბარაკ ობამა უარყოფს. მაგალითად, ფორუმზე „კლინტონის გლობალური ინიციატივების შესახებ“, ბარაკ ობამამ თავის მოხსენებაში ერთი საინტერესო პასაჟი გააუქვრა, რომლითაც არაპირდაპირ მიუთითა, სამოქალაქო სექტორის „მეხუთე კოლონიის“ ბუნებაზე – „სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა უცხოეთში, წარმოადგენს ნაციონალური უსაფრთხოების საკითხს და ვაშინგტონი ყოველთვის მხარს დაუჭერს სხვადასხვა სახის არასამთავრობო ორგანიზაციებს და უფლებათა დამცველებს მთელ მსოფლიოში“. როდესაც ნებისმიერ ქვეყნის მოქალაქე, სხვა ქვეყნის ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, მას პირდაპირ, ყოველგვარი მორიდების გარეშე, შეიძლება უწოდო თანამედროვე ტიპის „მეხუთე კოლონა“. ახალ „მეხუთე კოლონას“, ძველისგან მხოლოდ ის განსხვავდება, რომ მის წევრებს არც აქვთ გაცნობიერებული, რომ ისინი სხვა ქვეყნის ინტერესებს ემსახურებიან. ისინი მათ მიერ გადადგმულ პროპაგანდისტულ ნაბიჯებს, მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე განიხილავენ.

თუმცა, ლიბერალურ-კაპიტალისტური საზოგადოებრივი სისტემებში, მოქმედებს შემდეგი დაუწერელი კანონი, რომლის მიხედვით, დამფინანსებელი განსახლებავს

დაფინანსებულის მოქმედებას და მის ქმედებებში თავისუფლების ხარისხს. მოქმედებს პრინციპი: „ვინც იხდის, ის უკვე თავს“. თან უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ დაფინანსების წყაროების მოძიება, სხვადასხვა გრანტის სახით, ხდება ერთი და იგივე სქემით ყველა ქვეყნისთვის. კერძოდ, „მეხუთე კოლონიის“ დაფინანსების წყაროდ მიიჩნევა სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც სატელიტი ორგანიზაციების მეშვეობით ახდენს აშშ-ს ინტერესების სფეროში მოხვედრილი სახელმწიფოებში მოქმედი არასამთავრობოების დაფინანსებას. პირველ რიგში, დეპარტამენტიდან თანხის გადარიცხვა ხდება (USAID)-ის – აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ანგარიშზე, ხოლო ამის შემდეგ, USAID-ი აფინანსებს დემოკრატიის ნაციონალურ ფონდს (NED), ხოლო ამ უკანასკნელიდან კი, ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ისეთი ორგანიზაციების, როგორც არიან საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) და დემოკრატიის ნაციონალური ინსტიტუტი (NDI). IRI-ის და NDI-ის აქტიურობის ხარისხი პატარა ქვეყნებში დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის ვაშინგტონში ხელისუფლების სათავეში. მაგალითად, თუ რესპუბლიკელები არიან ხელისუფლებაში, აქტიურობით გამოირჩევა IRI-ი, ხოლო დემოკრატების ხელისუფლებაში ყოფნის დროს კი შესაბამისად NDI-ი. აგრეთვე USAID-ი და NED-ი სრული თავისუფლებით არიან, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე დააფინანსონ არასამთავრობო ორგანიზაციები.

თუ რაში სჭირდებათ ამერიკელებს, არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება და ზოგადად, სამოქალაქო სექტორის მხარდაჭერა განვითარებად ქვეყნებში, კარგად აქვს ახსნილი და გადმოცემული, ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენებ ერიკ დრაიცერს: „მათ დაფინანსებაში ახალი არაფერია, იმიტომ რომ, აშშ – სამოქალაქო საზოგადოებას და NGO-ს იყენებს მთელს მსოფლიოში, როგორც ზეწოლის ინსტრუმენტს საკუთარი მიზნების მიღწევისათვის, რათა მათი მეშვეობით განახორციელოს ხელისუფლების ცვლილება ან აიძულოს არსებული ხელისუფლება შეასრულოს მათი დავალება.“

ჩემი ბლოგი სპეციალურად არ გადავტვირთავ ფაქტობრივი მასალებით, რადგან მოაზროვნე მკითხველისთვის მიმეცა შესაძლებლობა, ამერიკელი თეორეტიკოსების მიერ გადმოცემული სტრატეგიების მეშვეობით, საქართველოს მაგალითზე, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, დამოუკიდებლად გამოეცანა დასკვნები.

ირაკლი შვილაშვა

**აუშ შექმნას ანარქიული გლობალიზური ომი და აპოკალიფსი, ნაციონალური სტრატეგიიდან გამოვლინა, რომელი მიზანი-ერები უნდა დაინფიციროს დემოკრატიული პლურალიზმის და ადამიანის ინდივიდუალური უფლებების იდეოლოგიით... ამიტომ ჩვენს ნაციონალურ უსაფრთხოებას ექნება საუკეთესო გარანტიები, თუ ჩვენ მიუძღვნივთ ჩვენს კალისხმევას, იმ ქვეყნების გონის და კულტურების განსხვავებას ჩვენგან.**





“ადამიანის სხეულით ვაჭრობა უკრაინაში სააკაშვილის ოჯახურ ბიზნესად იქცა” – სანდრალური სტატია უკრაინულ მედიაში

საქართველოში ანგელოზად დაიდოდა ერთი სახალისო ამბავი – ქუთაისის სასაფლაოზე ერთ-ერთ ქვას ასეთი ეპიტაფია “ამშვენებდა”: “მშობო, ახლაც არ გჯერათ, დალევს რომ არ შემოიღია?” თუ საზოგადოება წინ არ აღუდგა სააკაშვილისა და მისი მეუღლის არაადამიანურ ქმედებებს, შეიძლება იგივე ქუთაისის სასაფლაოზე ახალი ქვა გაჩნდეს შემდეგი შინაარსის ეპიტაფიით: “მშობო, კიდევ არ გჯერათ, რომ სანდრა რულოვს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობს?”



ეს, სიტყვისათვის, თორემ ამგვარი დანაშაულის იუმორით ქილიკი სრულიდაც არ გახლავთ სახუმარო საქმე, რადგან ახლახან კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ადამიანის სხეულით ვაჭრობა უკრაინაში სააკაშვილის ოჯახურ ბიზნესად იქცა, – ამ სათაურით უკრაინული გამოცემა Slovo.net.ua ვრცელ სტატიას აქვეყნებს. აღნიშნული სტატიის თარგმანს ვთავაზობთ.

დამოუკიდებლობისთვის ბრძოლით დავიწყეთ და ღრიალით - „ძირს იმპერია!“ საშიში მტაცებლის ყბაში აღმოვჩნდით. ყველა სიკეთე, რომლებიც სოციალისტურ ცხოვრებას ახლდა, იმპერიულ უბედურებად გამოვაცხადეთ, უადრესად განვითარებული სახალხო მეურნეობა გაგანადგურეთ. ეს სანაქებო ევროატლანტიკური თანამშრომლობა ერთი ქარხნის აშენებაში მაინც დაგვეხმარა, იმოქმედეთ და როგორმე სული მოითქვით?

სასოფლო-სამეურნეო მიწების უთავბოლო განიაგებას, ქარსაფარი ზოლების განეხვანა და სარწყავი სისტემების განადგურებას არ დაგვჯერდით და მიწაში

ნაწყობილი ლითონის მიღებაც გავვიდეთ, გადავთხარეთ და გავაოხრეთ სავარგულები. რომელ დამპყრობს შეეძლო ქვეყნის ასე საშინლად დარბევა?! სოფელი იცლება, ახალგაზრდობა უმუშევრობით სასოწარკვეთამდგა მისული და ოჯახს ვერ ეკიდება; საქართველოდან გადასახვეწ გზას ეძებს და აგერ, თურმე ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის პერსპექტივა გვექონია. გამფრთხალ ახალგაზრდობას აქ რაღა ძალა დააბრუნებს?!

როცა საქართველოში გაყინულ ხორცს არ კადრულობდნენ, თევზის კონსერვი, საქონლის „ტუშონკა“ და ძეხვი აუარებელი იყო, რუსეთის რეგიონებში კი მხოლოდ ძვლები იყიდებოდა წვნიანი კერძის დასამზადებლად. ამგვარი სიჭარბით გაკვირებული რუსეთიდან ექსკურსიაზე ჩამოსული მოქალაქეები შინ ამანათებით გზავნიდნენ პროდუქტებს. არადა, მეცხოველეობის პროდუქტებს საქართველო რუსეთიდან ღოტაციით იღებდა, რაზეც ქართველთა უბედურებამ, კარიერისტმა და მუხთალამ შეგარდნამდე უარი თქვა და საქართველოში კარაქი ისე გაქრა, ერევიდან დაიწვეს შემოტანა. რუსეთში ციტრუსების გაყიდვის აკრძალვით და რუსეთის ბაზრებში ქართველებზე ნადირობით ხომ გამოიჩინა თავი და მთელი თავისი კომუნიტური მოღვაწეობა ქართველი ხალხის უბედურებას მოახმარა. ჩვენ კი ვერ შევინარჩუნეთ ეროვნული ხელისუფლება, რომელსაც ევროატლანტიკელმა მეგობრებმა დინების საწინააღმდეგოდ ცურვა დაუწყეს, დაამხეს და მარიონეტო შეგარდნამდე, უკვე მთრეოდ, საზარელ სარეველად ჩაგვიტყველეს, რომლის მწარე ნაყოფით დღესაც გვიწამლავენ სიცოცხლეს „ნაციონალები“ და მათი მსგავსნი.

ღვარძლმა, მომხვეჭელობამ, გაუმადლობამ, ამპარტახნობამ, შურმა, განდიდების მანიამ და ყველა მანკიერებამ განვითარებული და აყვავებული საქართველო უცხოეთის ლაქიად, გამათხოვრებულ საცოდაობად აქცია.

ვინ იყო დაინტერესებული საქართველოს ასე საზარელად გააპარტახებით? (ცრუ მეგობრებმა კარგად იციან, რომ მათხოვარი იოლი სამართავია და აგერ, ჩვენი მაგალითი: დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი ქვეყნის ჯარისკაცებს ერაყში, ავღანეთსა თუ აფრიკაში აღფრთვინებენ სისხლს და ერთი არ წამოსცდებიათ, უნდა მოვიფრთხილდეთ, რათა წელში გაიმართოთ და ნორმალურად იცხოვროთ. დიდ მტაცებელს ადევნებელი ტურასავით დაეყვებით ნატოს, რომლის სისხლიან ნაკვალევზე მხოლოდ ხალხების უბედურებაა. აგერ არის ერაყის, ლიბიის, ავღანეთისა და მთელი არაბული სამყაროს ან თუნდაც უკრაინის მაგალითი. ჩვენ კი ნატოში მიღების სურვილის ტყვეობაში ისე გავიბლანდეთ, რომ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება კი არა, რაც დავრწმით, ლამის ამაზეც ხელები დაგვაბანინონ.

თითქმის ოცდახუთი წელია, უკეთესი ცხოვრების მოსაწყობად დემოკრატის ლოზუნგით ვიბრძვით და მივადგით კიდევ აქამდე არარსებულ გაჭირვებას. მსოფლიოში, ალბათ, არ მოიძებნება ისეთი საზარელი უბედურების მაგალითი, როდესაც მამა თავს იკლავს იმის იმედით, რომ მის დაკრძალვაზე შემოსული ფულით შვილისთვის თვერაციის გაკეთება მოხერხდეს. დამშუული ცოლ-შვილის უბედურების შემყურე უმუშევრობის ბრჭყალებში მოქცეული ოჯახის შეროშინოვარე მამა თავს იკლავს. ამ დროს მთავრობის, პარლამენტისა და პარტიების ბოსები სატელევიზიო შოუებში ტაკიმასხარაობენ და სიცილით იჭაჭებებიან. საქართველოს დღევანდლობის ფონზე ზღაპრული ხელფასის ევოლუციამ და ხელფასის დანამატად წოდებულ თანხებსა და პრემიებს ისეთი რაოდენობით იღებენ, მათი სანატრელი ევროპაც კი გაოცდება. განა ამისკენ მისწრაფვოდა „ნაციონალი“ მკბენარებით გამოხრული ქართველი ხალხი?!

ევროატლანტიკური მოთხოვნებზე გადასვლას ხალხის ნდობის დაკარგვა ახლავს. როგორც უნდა ელაქუცო და ინგლისურ ენაზე ჩლიქინით თავის მიწონება სცადო, ნაციონტებს მაინც ვერ გადაასწრებთ, ასე ღრმად რომ არიან შემძვრელი ევროატლანტიკურ ძაღლიშვილთა საპატიო ადგილას. თუ ასე არ არის, კბილებით რატომ იცავენ საერთაშორისო კანონებით დამნაშავე, ომის გამწვანებელ, საკუთარ

ხალხთან მეომარ, ქართველი ხალხის დაუბინებელ მტერ სააკაშვილსა და მის ბანდას, რომელიც 8 მილიარდი დოლარით დაასაწყურეს ცხინვალის ავანტიურის ესოდენ ბრწყინვალედ შესრულებისთვის.

ასე რომ, მივილტვით ევროკავშირში, რომელიც თავის სტანდარტებზე გავლას გვაგვალებს, ნაციონალ დამნაშავეებს კბილებით იცავს და საქართველოს ხელისუფლებას არაფრად ადგებს, რაღა ანტიდისკრიმინაციური კანონის მიღება მოითხოვს? ევროსტანდარტებში შედის უბედობაში მყოფი გაჭირვებული ხალხის ფართხალი და დამშუული პენსიონერების საცოდაობა, ისედაც მკლე პენსია წამლებისთვის რომ ვერ გაუწვდენია? ასე უკუსვლით თუ გვიპირებენ ევროკავშირში შესვლას, აფერუმ, ევროპასა და მის კავშირს „ნაციონტა“ მესობტე სახალხო პარტიის თამალობით. ჯერ არ ვიცით, ასოციირების ხელშეკრულებით რა რეფორმების გატარებას ითხოვენ ჩვენგან, მაგრამ ცხადია, ანტიდისკრიმინაციური კანონის მსგავსი მარგალიტები საკმაოდ ექნებათ. მათ უბედურასტების ამქარში ყოფნა ეამაყებათ და შენ რაღაზე აყოლიხარ გამრუდებულ ვნებათა ხუსტურს?! რა ჯადო გაგვიკეთეს ასეთი, რომ პარლამენტში არ მოიძებნა ერთი დეპუტატი მაინც, რომელიც იტყვოდა, ანტიდისკრიმინაციული კანონს, თქვენს მამიდას ასე კარგად რომ მოეგრო, ჩვენი ხალხის სულს არ წავაბილწვინებთო.

დღეს უკვე საიდუმლო აღარაგისთვის არის, რომ საქართველოს ამერიკის ელჩი მართავს. ხალხი კი ბევრი საკითხის მოვარებას „ქართულ ოცნებას“ ავალებს, მაგრამ საკითხავია - არის ხელ-ფეხგახსნილი ხელისუფლება, რომელსაც ამდენი მკბენარი დასვეია და სისხლს წოვს?

ექსსაგარეო მინისტრი ქალბატონები გულს გვიხეთქავენ, არავის ვაპატიებთ ევროპის გარდა სხვა მხარეს გახედავასო. აღასანიათ ხომ დაამშვენა „ქართული ოცნება“ და მიშა მეორის იარაღი მისიხკურთა ამერიკელი მფარველებისგან. ქართველი ერის საამაყო მამულიშვილების - ილიას, აკაკის, ვაჟას, ლადო ასათიანის მაგინებელი და, საერთოდ, ყოველივე ქართულის უარყოფელი ლეან ბერძენიშვილი პარლამენტის ტრიბუნიდან თუ ტელევიზიის ეკრანიდან თავის დეკორმირებული აზროვნების ნაყოფს რომ გვთავაზობს, გაარკვიეთ ახლა, სად მთავრდება ეს არსება და სად იწყება ნამდვილი „ქართული ოცნება“, თორემ სულაც არ გვიკვირს „ქართულის დღის“ მაგინებელი „ნაციონტ“ ჭიბბერიშვილისა და მისთანების სატელევიზიო სისინი. კიდევ რამდენი პარტი და პიროვნებაა, რომელთა პარლამენტში მოხვედრა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, ახლა კი ენერგოულად „უბრუნებია“ ევროატლანტიკელ დამრიგებლებს. ან რაღა დარჩა „ქართული ოცნებიდან“?!

არც ამერიკელებს დავიწყებიათ არასაიმედოთათვის სახელმწიფო გადატრიალების ყვაილებით მოწყობის იღუბი, მათ აღასანიათ ჰყავთ გახუნებული და გაშიფრული მიშას მაგიერ.

კადრების შერჩევაში სერიოზული იაღლიში ბიძინა ივანიშვილს შეიძლება შეცდომად არ ჩაეთვალოს, თუ ეს პიროვნებები უცხო ძალის ზეწოლით მოახვიეს თავს. თორემ აღამიანს, რომელიც „ნიურტა ქართველების“ ავტორია, პრეზიდენტად არ დაგვინიშნავდა. ახლა გამომის პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით და ქაღალხის უხვირო თამადასავით ყურადღებას ითხოვს. შენც ისეთი რამ თქვი, რომ მოვისმინონ. ვიდრე პრეზიდენტად აკურთხებდნენ, ბიძინას პლასტელინით ველისებოდა, გაინადა და აღარ სცნობს. ენდუ ახლა ამგვარ კაცს! თუ ასე გინდა, განაგვე ბიძინას ნაწყარი და შენი ავტორიტეტით ეზიარე პრეზიდენტობას. მერე გინდ, ელ-გუბ-ტუე ვაჭარაძესთან და გინდ, ამერიკელთა მსახურ არასამთავრობო გოგობიჭებთან კონსულტაციის ანგარიშით გაგვანათლუ.

ხელისუფლებას, შეიძლება, ეკონომიკური პრობლემები შეექმნას, როცა ესოდენ დამოკიდებულია საერთაშორისო სავალუტო რყევებზე - ეს გასაგებია, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, ვისი ზეგავლენით ფერხდება ქართველთა სურვილი, ნაციონტების მიერ თბილისის ცენტრიდან გაიქვებული ერის საამაყო მეფის - დავით აღმაშენებლის თავის ადგილზე დაბრუნება. (გაგრძელება მე-11 გვერდზე)



ქიმია, ალქიმია, ექიმია, სკოლა, მათემატიკა, არითმეტიკა, კალენდარი და სხვა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ტერმინთა ეტიმოლოგია

ქვეყნის ეს სახელი ასევე კავშირშია უძველეს ქალაქ – ქუთაისის სახელთან. ქუთ ქუთელია, მეგრულად. ანტიკური კუტაიას ქართველური შესატყვისი ქუთაია გახლავთ, რადგან ქართული ქ და თ ბერძნულში ხშირად კ და ტ-დ იწერება (კ და ტ ტრანსკრიფციითაა). ეს ქუთაია ქუმ „ქუმელის“ სათესი ადგილი ქუმ-თაია იქნებოდა, რომელიც გამარტივდა (მ ამოვარდა) და მივიღეთ — ქუთაია.

მეგრული სახელი ქუთუმი მიღებულია ქუმ-თა-ია წინაფორმის ია სუფიქსის კუთვნილების სუფიქსი იში //> ეში მონაცვლეობით, ხოლო ქართულობის პერიოდში, შესაბამისად, ეში > იში მონაცვლეობით:

ქუმ-თა-ია > ქუმ-თა-იში უდრის იმასვე რასაც — ქუმ-თაია — ქუმელისთვის განკუთვნილი, ქუმელის ადგილი. ამგვარად ვა წარმოებული ტოპონიმი ზუგდიდის შემოგარენში — ქა-ფა-თი, რომელშიც ქა ქუმ გახლავთ, გამარტივებული, ფა კი მცენარეა.

ასევე უძველესი ქალაქია ფოთი. ფოგტის მიხედვით, ამ სახელის პირვანდელი ფორმა იყო ფა-თი. მისი სემანტიკა (მნიშვნელობა) რომ ფავივით მოვიშველიოთ დანიელ ფიფიას მეგრული ლექსი — „როკი“ , სადაც ასეთი ბჭარია: „ფა დო კ ოშს დ“ რაც უდრის ფოთოლი და რკო ჭარბად ესხა. იხ. კ. სამუშია „ქართული ხალხური პოეზია — მეგრული ნიმუშები“. გამოდის ფა ფოთოლია, მაგრამ მას მცენარეს მნიშვნელობა რომ გააჩნია ეს ჩანს მეგრულ ზმნა ფალ-უა და მა-ფალ-უ-დან „ცვენება, მცენებარე“. აქ — პირველში უა ბოლოსართია. მეორეში მა და უ — წინსართ-ბოლოსართი, ძირი კი გახლავთ. ფალ, რომელიც, ერთ დროს, თავად იყო ფა + ლ ბგერისაგან შემდგარი კომპოზიტი და ნიშნავდა მცენარის სელას, მოძრაობას, იგივე ზრდას ანუ ცვენებას. ლ ბგერა რომ მოძრაობას აღნიშნავდა ეს უტყუარად ჩანს მაგალითებიდან:

მა-ლ (მა + ლ ) „მეგრ. მავალი, მდინარე“, სადაც მა წინსართია, ლ ძირი (მავე; მეგრ. მა უ-ლ, სი ქორექო მა-ლ უდრის მე წავალ, შენ ხარ წამსვლელი. ძირია ლ); ულა — უ + ლ + ა „სვლა“. აქ უ წინსართია, ა — ბოლოსართი, ლ კი ისევ — ძირი.

ჩვენი აზრით, სვლა მიღებულია ულა-დან შემდგენიარად: უ გადაიტკა ვ ბაგის-მიერად და მისსავე წინ ს განვითარდა: უ-ლა > ვ-ლა > ს-ვ-ლა. ასე რომ ამ ქართულ სიტყვაშიც, ერთ დროს, მოძრაობის აზრს ლ ძირი განაპირობებდა, ს, ვ და ა ბგერები მას შემდეგ შეეზარდნენ.

ამგვარად, ოდესღაც, ფა-ლ მცენარის სვლას ანუ ზრდას, ნამდვილად, აღნიშნავდა, შესაბამისად, ფა იყო მცენარე, ლ კი მოძრაობა. რაკი ფა მცენარეა, მაშასადამე, ფა-თი კომპოზიტი სიტყვა ყოფილა, მცენარისთვის განკუთვნილი ადგილის მნიშვნელობით.

დღევანდელი ფოთი, ფუთი და გაბოკლეული ფათი კი დიალექტური სახესხვაობანი ყოფილან.

ფა სიტყვის მნიშვნელობა — მცენარესთანაა დაკავშირებული ტოპონიმი გალის რაიონში — ფი-ჩორ-ი. იგ. ჯავახიშვილის აზრით, მას „...დამახასიათებელი რა დაბოლოება აქვს, რომელიც ქართულში და მეგრულში, ბოლოსართად, არ გვხვდება...“ და, ამის საფუძველზე, ფი-ჩორ-ის სახელმძღვანე აფხაზთა ტომის წინაპრებს ასახელებს. (იხ. იგ. ჯავახიშვილი. „კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. გვ. 45“...). უნდა შევნიშნოთ: ჯერ ერთი, ამ ტოპონიმს, მეგრულში არა რა არამედ რი დაბოლოება გააჩნია, მეორეც, ამ სახელის აგებულების პირველადი მნიშვნელობის მიგნებით...“ იქნებ შესაძლებელი გახდეს უფრო სარწმუნო ეტიმოლოგიის დადგენა: ჩვენი შეხედულებით კი ფი + ჩორი მიღებულია, მეგრულად, განცალკევებულ მნიშვნელობათა მქონე სიტყვებისაგან ფა „მცენარე“ და ჩორე „ჭებჭებობი“. მართლაც ფი-ჩორი, ზღვისპირა ზოლში მდებარე, დაჭაობებულ ადგილებს ჰქვია. ჩორე კომპონენტის მონაწილეობითაა

სახელდებული იქვე, ახლომახლო ზღვის ზოლში მდებარე ოჩამ-ჩირე, რომელშიც ოჩა იგივე, მეგრული ოჩე გახლავთ და უდრის „დიდი“. აქ მ ფონეტიკური დანართია. ალბათ, დღევანდელი, ოჩამჩირის სანახებში, წინათ ოჩე-ჩირე // „დიდი ჭაობი“-ანი ადგილი იყო.

ოჩამ-ჩირე სახელის დამოწმებაა იქვე, მეზობლად მდებარე აჩი-გვარა, რაც მეგრულად ოჩე გორა ანუ დიდი გორა-კია და მართლაც იქვეა — ეს გორაკი.

ფა სიტყვასთან დაკავშირებულ ტოპონიმებიდან, განსაკუთრებით საყურადღებოა — ფა-ლა-ზონი, რომელიც ფა + ალა-ზონი ნაწილებიდან იყო შემდგარი. ალა-ზონი ქორფად მცენებარე ადგილია, მეგრულად: ფა-ალა-ზონის ორი ა-დან ერთის ამოვარდნის შემდეგ მიღებული ფალა-ზონი, როგორც გეოგრაფიული ადგილი, მართლაც ცნობილი იყო დიდხეობიანი ღელისპირა წიფლნარებით. ეს ეტიმოლოგიური ამოსვლიანობა ფალა-ზონს, ცნობილმა მკვლევარმა — „ყაზახიში გაზეთის“ რედაქტორმა — მაინატი კვირიამ დაუკავშირა.

თუ ეს ასეა, ხომ არაა ალა-ზონი მეგრული ალა-ზონის დიალექტური სახესხვაობა ალა-ზონისპირა ხეებიანი და ქორფა-ბალახიანი ადგილების დამახასიათებელი? მით უმეტეს რომ, თუ სამეგრელოში ფალა-ზონი მიკროტოპონიმია, კახეთში იგი (ფალა-ზონი) დიდი სოფელია.

თი და თა, მნიშვნელობის მქონე სუფიქსების როლში (სიტყვის როლში) ტოპონიმიკაში დიდად პროდუქტიულია, მაგრამ ისინი შეიძლება კომპოზიტი სიტყვის შუაშიც მოხვდნენ.

მაგ: ტოპონიმი ზეს-ტა-ფონი იქნებ მიღებულია არა ზედა-ფონი-დან, როგორცაა გახიარბული, არამედ ზეს + თა + ბონი-დან. ბონი, მნიშვნელობით, სწორია, მეგრულად, ამიტომ ეს ქართულ-მეგრული სიტყვა — ზეს-თა-ბონი -ი იქნება „მზიანი სწორი ადგილი“, რაც კონტრასტულია იქვე მდებარე მთა-გორაკებთან მიმართებით.

როგორც დამოწმება, ზუსტად ამავე ლოგიკითაა შექმნილი იქვე ძველი სახელი შორა-პანი, წინარე შარა და იგივე ბონი სიტყვებისაგან. შარა ბონი, მეგრულად, ნიშნავს „სწორ გზას“ შარა-ბონი > შორა-პანი-ი.

ტოპონიმი წო-ბენი მიღებულია მეგრული წა „წყალი“ + ბონი -საგან.

ყუ-ბანი უდრის წყუ + ბონი იგივე წყურ + ბონი, რაც სწორი მდინარე (წყუ, წყური = წყარი) გახლავთ, მეგრულად.

ა-ფხ-ა-ზე-თი წინათ იყო გეოგრაფიული სახელი და არა ეპონიმი.

ა აფხაზური ენისთვის დამახასიათებელი აფხაზური წინსართია (მაწარმოებელი) და ტოპონიმს, როგორცა ჩანს, გვიან დაერთო.

დარჩენილ ფხ-ა-ზე-თი -ის ზე ფრაგმენტი კი იყო, დღესაც, მეგრულში დაფიქსირებული, მოფერებით, მზის აღმნიშვნელი, უა სიტყვის ქართული შესატყვისი, მნიშვნელობით“ მზე.“ ანუ ეს ფრაგმენტი ზე აშკარა წინაფორმაა ქართ, მ-ზე და ძე. ქართ. მ-ზა სიტყვისა. ცოცხალი მეგრული ჟა და არ-ქული ქართული ზე ამოდიან ა. გელოვანის მიერ მის „მითოლოგიურ ლექსიკონში“ დაფიქსირებულ შემერული შა წინაფორმიდან, ოღონდ იგი შემერული კი არა ქართველურია, რადგან პროტოშუმერები იგივე პროტოქართველები (სეანებისა და მეგრელების წინაპრები) იყვნენ;

თი სუფიქსია, რომელსაც წინათ ადგილის სემანტიკა ქონდა.

ფხ ბგერათკომპლქსი სითბოს გამოხატავს (იგ. ჯავახიშვილი).

ასევე სითბოს აღნიშნავს ფ ბგერა. იგი მეორე სასიგნალო სისტემის შექმნის პერიოდში ფუნა „დუდილს“ აღნიშნავდა, რადგან, დუდილის პროცესში, სითხეში გახსნილი ჰაერის ბუშტუკების ამოსვლის დროს წარმოქმნილი ბგერების შესატყვისია, ხოლო ფხ, ასევე, ხრ კომპლექსები ხარშვის დროს წარმოქმნილ ბგერით მოვლენებს განასახიერებენ.

ამგვარად ა-ფხ-ა-ზე-თი უდრის „თბილი მზიანი ადგილი“, როგორცა, ძველად,

ქართულ წერილობით წყაროებში, სრულიად, დასავლეთი საქართველო იყო მოახრებული.

ვაქტს მასზედ, რომ ქართულ ზა, მეგრულ ჟა მზის აღმნიშვნელ სახელებს აქვთ შა პროტოშუმერული წარმომავლობა ხსნის უდიდესი მნიშვნელობის პრობლემას, კერძოდ იმას, თუ საიდან განწდა ჯერ კავკასიურ შემდეგ ინდოევროპულ ენების მზის აღმნიშვნელ სახელებში ზ ან მისი ექვივალენტი ს ბგერა. ისინი ქართველური წარმომავლობისანი არიან, რადგან იმპორტი მათ არ შეეძლოთ თავად ქართველურის პროტოშუმერულიდან ევოლუციის გამო.

გულავას წიგნში „ქართული ხალხური პოეზია, მეგრული ნიმუშები“ არის მეგრული ლექსი:

„ჩე ქოთობი, ჩელაია, ჩეთ გინომრხიალე. ოშ ათასი ჩქიმი თი-ს აკა მემობელიშ თი-ს. „თეთრო ქათამო, თეთრო, თეთრად, ხრიალით გადამიფრინე. ახი ათასი ჩემს სახლ-კარში, ერთი (კინკილა) მეზობლის სახლ-კარში“.

ამ ლექსში საყურადღებო ბევრ რამაა: სიტყვა თის უდრის „ყანა-ში“, „სახლ-კარში“, მაშასადამე, თი, რომელიც ახლა ქართველური სუფიქსია ერთ დროს სრულ-ფასოვანი სიტყვა, ყანა-სახლკარის აღმნიშვნელი გახლდათ, მეგრულში; აკა დღესაც ერთადერთს, კინკილას ანუ ერთეულს აღნიშნავს. როგორც უკვე ზემოთა ვთქვით, თი სიტყვას გააჩნია სინონიმი — თა, ესენი დაგვეხსნაბრებიან ტერმინი — თესლის წარმომავლობის დადგენაში: თავდაპირველად, უთუოდ, არსებობდა, მეგრულში, თესლის თა-ში ფორმა, ყანისთვის განკუთვნილის მნიშვნელობით — იგივე საყანე, რაც თესლის არსის ზუსტი ფორმულირებაა. ამიტომ, თა-ში > თა-სი „მეგრული თესლი“ ცვლილების რეალობა სრულიად აშკარაა. რაც შეეხება მეგრ. თასის შესტყვის — ქართულ თეს-ლის, აქ (თას : თეს — ა : ე მეგრულ : ქართული შესატყვისობები არიან) მეორადი ლი სუფიქსაციის გამო, > თეს-სი + ლი > თესლი ცვლილებებია მომხდარი.

უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ ლექსში სიმბოლურად თესვის პროცესია ასახული: ქათამი გახლავთ თესლი, ხოლო მეორე ბჭარი — ჩეთ გინომრხიალე — „თეთრად ხრიალით გადამიფრინე“ გამოხატავს თესლების თავს ზემოთ გადაყრით თესვის მეთოდს, რომლის არსებობაც უძველესი ისტორიული წყაროებით დადასტურებულია.

საეჭვო არაა, აქვე თქმული, განსაკუთრებით სათესი ადგილის — ყანის და თესლის, ერთ ენაში დაფიქსირებული ეტიმოლოგიური ერთიანობა, აშკარად, მიუთითებს მათი სახელმძღვანე ერის პიონერობაზე რვა-თესვაში.

მაგრამ, ჯერ-ჯერობით, პიონერებად ითვლებიან შემერები.

შუმერებისა და ქართველების კულტურული ნათესაობის უარყოფა ყოველად დაუშვებელია. ამას გვაფიქრებინებს არა მარტო შუმერულ-ქართველური პარალელები.

თუმცა ვერ ვძლევთ ცდუნებას მის ერთ-ერთ ნიმუშზე არ გამოვთქათ მოსახრება.

შუმერულად და სეანურად მარე აღამიანს — კაცს აღნიშნავს. სხვა ქართველურ ენებში გვაქვს სა-მარ-ე, მარა-ნი, რაც ასევე აღამიანთანაა დაკავშირებული.

მეგრულში გვაქვს მადლობისა და მორიდების გამოხატველი სიტყვები, როგორცაა: მარ-დი „მადლობა“ და რი-დი. ჩვენის აზრით, ორივე ეს სიტყვა, რესტავირებული, ერთი საერთო წინაპრის, მცირედ გახსხვავებული, გამარტივებაა: ეს სიტყვა იყო მარე-დელი უდრის „კაცი დიდი“ მარ(ე-დი)დი > მარდი; (მა)რ(ე)დი > რიდი.

ეს ორი ეტიმოლოგია აზრობრივად გამართლებულია, რადგან თუ ერთი პირი მეორეს კაცობას აღმატებულად ახასიათებს

— ეუბნება „დიდი კაცი ხარო“, მაშასადამე, მადლობას გამოხატავს. იგი ასევე რიდის გამოხატვაცაა, რამეთუ მე თუ გეუბნები დიდი ხარო, მაშასადამე, ჩემს თავს, შენთან შედარებით, დაკნინებულად მოვიახრებ.

ქართული ქმარი. აქ, ჩვენი აზრით, ქ ბგერის მეშვეობით, აღამიანის სქესი — მისი მამაკაციური თვისებაა საზგასმული. ანუ ქმარი იგივე ქმარე უდრის „კაცი მამრი.“ ესაა პრე სიტყვა. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ქ ბგერა კ ბგერის ექვივალენტია. მეგრულში კ ბგერა კი რესკ. კ მარცვალი გახლავთ სიტყვა „მა-გარი.“ აგრეთვე, ა. გელოვანის მიხედვით, მითოლოგიაში, იხ. ა. გელოვანი — „მითოლოგიური ლექსიკონი,“ კ მამაკაცის ძალა და მამაკაციური (მამრული) ძალმოსილებაა, რაც ჩვენი მსჯელობის მართებულობაზე მეტყველებს: რომ ქმარ სიტყვაში მამრული თვისება ქ ბგერისა მისი ექვივალენტ კ ბგერის, ზემოთაღწერილ თვისებათა გენეტიკური შემკვიდრებითობაა:

კ -მარე >|| ქ -მარე > ქ-მარე და ბოლოს ე > ი გადასვლით > ქართ. ქმარი-ი;

მისი მეგრული შესატყვისია — ქომოლი და ქომონჯი, რომელთაგან პირველი — „მამაცს“ და „მამრობით სქესს“ აღნიშნავს, ხოლო მეორე ქმარია, მეგრულად. ბგერითი ცვლილებები აქ არის უფრო ღრმა:

ქ -მარე > ქ -მარე > ქო-მარე > ქო-მორი // ქომოლი „მეგრ. „მამრი, მამაცი“

ქ -მარე > ქ -მარე > ქომარე > ქომორი > ქომოჯი > ქომონჯი „მეგრ. ქმარი“.

აი, ქართველურში, რამდენი პარალელი პოვა შუმერულმა რესკ. პროტო შუმერულმა, (შუმერებს იგი პროტო შუმერებისგან შემორჩათ.) სიტყვამ მარე. მაგრამ მთავარი ისაა (დაე არავის მოეჩვენოს ფანტასტიკად), რომ მა-რე პირველყოფილი აღამიანის ერთ-ერთი პირველქმნილი ლოგიკური ტერმინია და დღესაც ამ პირველ ნაფიქრალს უცვლელად გამოხატავს:

მა „მე“ + რე „არის, არსებობს“ ნიშნავს მე-ს, პიროვნების არსებობას. ანუ უდრის ისეთივესი, როგორც მე ვარ არსებობას. ესაა კაცის, აღამიანის არსის ლოგიკურად განსახდერის პირველქმნილი და უაღრესად ზედმიწევნითი სიზუსტე!!!

ცოცხალი მეგრული სიტყვა შ „სითხე, სისველე“ პირველქმნილი სახითაა ჩვენამდე მოღწეული. შ ბგერა მდინარის წყლისა და ფოთოლთა ხმაურის აღამიანის სამეტყველო ორგანოს ენისმიერი რეპროდუქციაა. ესე იგი შექმნილია მეორე სასიგნალო სისტემის ჩამოყალიბების პერიოდში. ამაზე მიუთითებენ სიტყვები: შორშინი „შიშინი“, შუმინუა მეგრული „სუნთქვა“, შუმინვა ძველ-ქართული „სუნთქვა“, შური მეგრული „სული“

შ-ს შესატყვისია ქართული ს ბგერა. მაგ: შური: სული; შუმა: სმა, ამიტომ შუმერი ქართულად არის სუმერი. (შენიშვნა: ა. ჩიქობავამ ვერ ახსნა ქართულ-მეგრული შენ: სი შესატყვისობა. მისი თეორიით ხომ პირუკუ: მეგრულში შიშინა შ ქართულში კი სისინა ს უნდა ყოფილიყო. და ეს იმდენად, რომ მაშინ ცნობილი არ იყო ავტორისეული ქართველურ ბგერათა ჩახახვის რეფლექსოგენური და წარმოქმნა-განვითარების იმიტაციური — ხმაბაძვითი თეორია. ავტორი 2014 წ.).

შუმერისა და ივერის მსგავსებას ჯერ კიდევ ნ. მარმა მიაქცია ყურადღება.

დღევანდელ მეგრულში მამრ ნიშნავს წყლისპირა მიწას. ამ სახელის არის მიკროტოპონიმი მდინარეების ენგური და ჩხოუშის შესართავთან ზუგდიდის რაიონში და სხვაგან.

მერე-თი-ს მეგრულში აქვს ზღვის მნიშვნელობა. მაგ. მერეთი ლაიტი ჩანს — ზღვა სიმინდია (გახარებული); მერეთი წყარქ გიძელ — ზღვა წყალი ჩამოვიდა (აღიდა).

მერეთის აქვს, ასევე, სასწაულის, არჩეულებრივის გაგება. მაგ მერეთიქ მოხვად — სასწაული მოხდა, რაც უთუოდ მეორეულია...

ივანი ივორია, (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



„PIA Новости“-ის კრესცენტრში, 14 აპრილს, ალექსანდრე ნოსოვიჩის წიგნის „ევროპის უკანა ეზო. რატომ კვდება ბალტიისპირეთი“ კრეზენტაცია გაიმართა

ლონისძიებებს ესწრებოდნენ, წიგნის ავტორი და ანალიტიკური პორტალის - rubaltic.ru-ს მმომხმადებელი ალექსანდრე ნოსოვიჩი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელი ტარიელ გაგნიძე, მლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული პოსტსაბჭოთა სივრცის შემსწავლელი საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის დირექტორი სერგეი რეკუდა და ლატვიელი პოლიტოლოგი ეინარს გრაუდინიში.

პრეზენტაციაზე სკაიპის მეშვეობით ჩართვებზე ლატვიელი პოლიტოლოგი, ალიანსის ევროპული დემოკრატიისთვის რეგიონული ვიცე-პრეზიდენტი ნორმუნდ გროსტინიში და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ევროკავშირის პროფესორი ესტონეთიდან ედუარდ ტინი.

ბალტიის ქვეყნები - ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნები არიან და ისინი საკუთარი თავის პოზიციონირებას ხშირად ახდენენ, ევროინტეგრაციაზე დაფუძნებული, პოსტსაბჭოთა განვითარებისა და წარმატების ისტორიის მაგალითად. თუმცა, შეუძლიათ კი სინამდვილეში ბალტიის ქვეყნებს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის სოციალ-ეკონომიკური განვითარების მაგალითად იქცენ? რით აიხსნება ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია დამოუკიდებლობის წლებში და მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები უკვე ათი წელია ევროკავშირის წევრები არიან, რატომ რჩებიან კვლავ უღარიბესი ქვეყნების რიცხვში? სწორედ აღნიშნულ კითხვებზე სცემს პასუხს, ალექსანდრე ნოსოვიჩი თავის წიგნში.

ალექსანდრე ნოსოვიჩი: „იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნების მოქალაქეებმა გააცნობიერონ თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა მომავალში, ვფიქრობ, ძალიან სასარგებლო იქნება სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შედარება და გათვალისწინება. ბალტიის ქვეყნებში არსებული მითები დემოკრატიაზე, სიტყვის თავისუფლებაზე, ეკონომიკურ სიძლიერეზე, სინამდვილეში მხოლოდ ფასადური და მოჩვენებითია. ამას გარდა, აღნიშნულ ქვეყნებში მაღალია ემიგრაციის მაჩვენებელი. მაგალითად, მხოლოდ დამოუკიდებლობის პერიოდში, ლატვიამ მოსახლეობის - 27%, ლიტვამ კი - 28% დაკარგა, რაც ძალიან სერიოზული ციფრია ამ ქვეყნებისთვის. მოსახლეობა საკუთარი უფლებებით, უცხოეთში საცხოვრებლად სამუდამოდ მიდის. თუმცა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ბევრს მაინც სჯერა მათი და ცდილობს მიბაძოს ამ ქვეყნებს, რაც მე პირადად ძალიან საშიშ ტენდენციად მიმაჩნია. დღევანდელი პრეზენტაციისა და დისკუსიის მიზანია სწორედ ეს გახლავთ, რომ ბალტიის ქვეყნების მაგალითზე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა, საქართველომ, ასევე, მოვლდეთ და უკრაინამ განანსხვავონ მითები რეალობისგან.“

პრეზენტაციის ორგანიზატორი - მ. კ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული პოსტსაბჭოთა სივრცის შემსწავლელი საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი გახლდათ. უახლოეს მომავალში, წიგნის პრეზენტაცია ერევანსა და მინსკში გაიმართება.

საქინფორმ

კონსტანტინე კვიციანი 80 წლის ბასტიონია!

“Никто не забыт, ничто не забыто”  
ნათქვამია: ადამიანს როცა ახსენებენ ის ადამიანი მკვდარი არ არის! მინდა გავისხენო ჩემი ძველი და განუყრელი აფხაზი მეგობარი კონსტანტინე კვიციანი... კონსტანტინე დაიბადა 1934 წლის 15 დეკემბერს ონაშირის რაიონის სოფელ ათარა-აბხაზსკაიაში, გლეხის ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ ის ჩაირიცხა თბილისის პედინსტიტუტში, რისი დამთავრების შემდეგ მუშაობდა მშობლიურ სოფელში სკოლის მასწავლებლად, შემდეგ კი ღირე-ქტორად. შემდგომ დაინიშნა რაიონულ გაზეთ “აკომუნისმ-ას“-ის (მერე დაარქვეს “ერცახუ“) მთავარ რედაქტორად. ჰყავს მეუღლე და შვილები - ბესიკი და საიდა. ჰყავდა და ზოია, რომელიც გათხოვილი იყო გალის რაიონის ს. შეშელეთში, კილანავას გვარის შესანიშნავ ადამიანზე, ზოია მუშაობდა ამავე სოფლის სკოლაში პედაგოგად. კონსტანტინესთან ერთად ხშირად ვყოფილვარ კილანავების სტუმართმოყვარე ოჯახში. ზოია მე რომ დამინახავდა გულ-მკერდზე მკოცნიდა იმის ნიშნად, რომ ამა ხარ ჩემი... ახლა მახსენდება კონსტანტინე კვიციანს

კაცურკაცობის უამრავი მაგალითი და რაოდენ დასანანია, რომ ის უკვე აღარ არის ცოცხალი, მაგრამ მიხი ხსოვნა დაუვიწყარია...

აქეთ რომ გადმოვედით, გარკვეული დროის შემდეგ კონსტანტინეს მივწერე წერილი და შევთავაზე შეხვედრა ენგურის ხიდთან, მაგრამ ეს შეხვედრა არ შედგა. სამწუხაროდ მომიტანეს ამბავი, რომ კონსტანტინე გარდაცვლილიყო...

გავიდა დრო და ზუგდიდში შეხვედი კონსტანტინეს დის შვილს ირას, რომელმაც მამამო თუ როგორ ემზადებოდა ბიამისი ჩემთან შესახვედრად, მაგრამ ორი დღით ადრე გარდაიცვალა... მამამო ისიც, რომ ის ჩემი წერილი კუბოში ჩაატანეს ჩემს მეგობარს... რა თქმა უნდა, სანამ ცოცხალი ვარ ის მუდამ იცოცხლებს ჩემს გულში... ვის სჭირდებოდა ეს ამთამკვლელი ომი... 22 წელი გავიდა და ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული ჩვენი მომავალი. გაურკვეველია რა იქნება ხვალ...

უფალმა აცხონოს კონსტანტინე კვიციანის სული! ამინ!

ჰიზიკო ბარამია, ზუგდიდი

ბიორბი კვიციანიშვილმა “ანაკლიის ბანკითარების კონსორციუმის”, კომპანია “ჩინდაო პორტ ინტერნეიშენალისა” და “ბარკლაის ბანკის” დელეგაცია მიიღო

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა “ანაკლიის განვითარების კონსორციუმის”, კომპანია “ჩინდაო პორტ ინტერნეიშენალისა” და “ბარკლაის ბანკის” დელეგაცია მიიღო.

როგორც “ინტერპრესნიუსს” ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან აცნობეს, შეხვედრას დაესწრნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეები ირმა ქეთუხაძე და ქეთევან ბოჭორიშვილი, სს “საქართველოს რკინიგზის” გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე და სხვა ოფიციალური პირები, ასევე ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იუე ბინი.

სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული კონსორციუმი, რომელიც აერთიანებს “თიბისი პოლდინგსა” და “კონტი ჯგუფს”, მონაწილეობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, საქართველოს მთავრობის სახელით გამოცხადებულ მოწვევის პროცესში ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობისა და განვითარების პროექტზე ინტერესთა გამოხატვის შესახებ. სამინისტროში აცხადებენ, რომ აღნიშნული კონსორციუმი ერთერთია იმ შვიდი კონსორციუმიდან, რომლებიც ე.წ. “მოკლე სიაში” შევიდნენ.

“ჩინური კომპანია “ჩინდაო პორტ ინტერნეიშენალი”, რომელიც ჩინეთის ერთერთი უმსხვილესი ნავსადგურის, ჩინდაოს პორტის ოპერატორია, გამოთქვამს დაინტერესებას, მონაწილეობა მიიღოს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტში, ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან ერთად. ჩინდაოს პორტი ბოლო წლებში არაერთხელ დასახელდა ყველაზე პროდუქტიულ ნავსადგურად.” - ნათქვამია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, კონსორციუმის წარმომადგენლებთან განმარტებითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა, რომლის დროსაც სამინისტროს ხელმძღვანელმა პირებმა უპასუხეს “ანაკლიის განვითარების კონსორციუმის” წარმომადგენელთა დასმულ ყველა შეკითხვას. სამინისტროს ცნობით, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მალე კონსორციუმის წარმომადგენლები ანაკლიაში ჩასვლას გეგმავენ, რათა პორტის მშენებლობისთვის განკუთვნილ ტერიტორიას ადგილზე გაეცნონ.

ღვაწლმოსილი პედაგოგი ნაპოლეონ (ნაპო) ბერბეღავა 85 წლისაა

აფხაზეთიდან დევნილ ღვაწლმოსილ პედაგოგს და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების მქონე შესანიშნავ პიროვნებას, ბატონ ნაპოლეონ (ნაპო) ბერბეღავას ა.წ. 14 აპრილს 85 წელი შეუსრულდა...

სახალხო მოძრაობა “სამშობლოს” ზუგდიდის ორგანიზაციის სახელით ვულოცავ ბატონ ნაპოლეონს ამ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს. რასაკვირველია ვუსურვებ აგრეთვე, მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნებას!

ზურაბ კვარაცხელია



ამისკენ მიისწრაფვოდა „ნაციონალი“ მკვებარებით გამოხრული ქართველი ხალხი?!

(გაგრძელება მე-19 გვერდიდან)  
ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების სამოცდაათ წლის- თავს ნაცისტების მიერ აფეთქებული ობელისკის ადგილიდან ამ პარლამენტში იმავე ნაცისტების ბოროტი ღვაწლით ვხვდებით. მსოფლიო ზვიმობს ფაშისტური ჭირიდან ხსნის იუბილეს, ქართველმა ხალხმა ესოდენ დიდი და საამაყო წვლილი რომ შეიტანა მის განადგურებაში. თუმცა ნაცისტების მიერ განდღვრულ მოსაბოილი ქართველი ხალხის საამაყო შეილების ობელისკის ცოდვებიან ადგილზე სხდომების გამართვა ისე არ აშფოთებთ, როგორც ხეზე შემომჯდარ თვალბეჭეტილ ბუს გაცოფებულ ზღვის ტალღებს შეჭიდებული ნავის ბედი. აგსტრიაში, სადაც ფაშისტური მსოფლიოს დასაგვსლად ბოლოქრობდა, ნეოფაშისტებს არ აპატიეს საბჭოთა მემორის ობელისკის სადგომით დასერა. სიღნაღში კი განდღვრულ მთელი ქიზიყის სიამაყე, სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის ბრწყინვალე უნიკალური ობელისკი გაანადგურეს და სხვა ღირსშესანიშნავი ძეგლებიც მიაყოლეს.  
რა შეუძლია „ქართულ ოცნებას“, როცა ევროატლანტიკურ მფარველებს ეს ნაცისტები ისევ

საქართველოში ვითარების მომავალ ამრეველად წარმოუდგენიათ და სათანადოდ აღასებენ მათ ანტიეროვნულ დეაქსს? ესენი, სერიოზულად გაპაპაი-ჯორბულები, მიტინგებს აწყობენ და ხელისუფლებაში დაბრუნების მუქარით გულბრეყილო ობობატკლს უწებს უხუთქავენ. ტელევიზიები ხომ მათი ღვარძლის ნოტზეა აწყობილი იმ დონეზე, რომ თავიანთი ბატონობის პერიოდსაც გაასწრეს.  
ახლა უკრაინაში აფრქვევენ ღვარძლსა და ბოლმას, რომელიც პლადარმად გაიხადეს საქართველოში რევანშის მოსაწყობად. უკრაინელი ხალხი კი მიხვდება, რა საშიშნელი უბედურებაც დაატყდა თავს ბანდერელი ნაცისტების პარპაშით და ამ ევროატლანტიკურ სატყუარას დამსახურებულ ადგილს მიუჩენს, მაგრამ როგორი მსხვერპლის ფასად დაუჯდება ნეოფაშისტები არამხადების თავხედობა, რომლის შედეგებიც მომავალ თაობას ექცევა თავის ტკივილად...  
საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს მომაკვდავი „ნაციტური მოძრაობის“ რეანიმაციის პროცესი. ამერიკა-ევროკავშირის ქორებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, რომ

ქართველი ხალხი არც ისეთი გულბრეყილოა, მათი ბოროტი ხრიკები სიკეთის მაცნედ რომ მიიღოს. ვერც NDI-სა და IRI-ის კვლევებით ვვლარ აურევენ გზა-კვალს. ქართველი ხალხი თანდათან ნათლად ხედავს ამერიკელთა ბოროტ განზრახვებს. შორს აღარ არის დრო, როდესაც საქართველოდან აიკრეფენ გულანაბლს. მათი ბატონობის წლები კი ქართველი ერის ისტორიას კიდევ ერთ შავ ფურცლად შემორჩება.  
„ქართულ ოცნებას“ კი მივმართავ: ევროატლანტიკური ლიქნი ქართველი ხალხის ნდობის დაკარგვად არ ღირს. ისე ნუ მოიქცევი, რომ თქვენი მოღვაწეობა, ქართველი ერის იმედი ვადაში გადატეხილ ხმაღს დაემსგავსოს. გახსოვდეთ, რომ ჯერ კიდევ სწამთ „ოცნების“ და, თუ თავგანწირულად შეუტევთ აფხა და ბოროტს, მადლიერი ქართველი ერი დიდებას და პატივს არ მოაკლებთ.  
ბიზი სოფთოშვილი, მწერალი, დავით ადამაშენებლის პრემიის ლაურეატი, აკადემია „აია“-ს ნამდვილი წევრი



სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალის ბიორბი ჯალალანია



ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი ჯალა შავდათუაშვილი (73) კვლავც რჩება ქიმიკთა განსაკუთრებული ინტერესის ქვეშ, რაც საუბრებით ბუნებრივი ამბავია.

სამწუხაროდ, მას ძალიან გაუგრძელდა ახალ წონასთან ადაპტაციის პერიოდი, რაშიც დიდი როლი ტრავმებმა ითამაშა. დასამალი არაა, რომ სკორტმენის ცხოვრებაში იღბალი დიდ როლს თამაშობს, რაშიც ჯალას არ გაუმართლა - ოლიმპიადის შემდეგ რამდენიმე ოპერაცია გაიკეთა. მას ერთბაშად უწვევდა ორ პრობლემასთან გამკლავება - ახალ წონასთან შეგუება და ჯანმრთელობის პრობლემებთან გამკლავება.

განსაკუთრებით დასანანი ბოლო ტრავმა იყო, როცა შარშან, ბუდაპეშტის "დიდი პროის" ფინალში გახულმა მუხლი იტყინა. არადა, კარგად ჭიდაობდა და ყველაფრით ეტყობოდა, რომ ფორმაში შედიოდა.

საბედნიეროდ, უკვე ყველა ნიშანია საიმისოდ, რომ ადაპტაციის პროცესი მთლად ბოლომდე დამთავრებულად თუ არა, დასასრულს მიახლოებულია მანაც მივიჩნით.

ბუნებრივია, ყველა ტურნირს ვერც ახლა იგებს (თუმცა ასეთი სკორტმენი ხომ ბუნებაში იშვიათია), მაგრამ ბევრად უფრო თავისუფლად მოქმედებს ტატამზე, გასწილია, ფიზიკური მომზადებაც ამკარად უკეთესია და ვიზუალურადც ეტყობა, რომ უფრო გაზრდილია, მომკლავრებულია, მოლონიერებულა.

ახლა ისეთ ვითარებაშია, როცა ადაპტაციაზე მეტად წონაში საკუთარ ნიშანს იმკვიდრებს.

საბედნიეროდ, ეს პროცესი ლიდერთა დონეზე მიმდინარეობს და არა საშუალო ყალიბის ფალავნებს შორის და ვიქონით

იმედი, რომ აქაც უმაღლეს დონეზე დამკვიდრდება.

თუმცა, ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესების მიუხედავად, ამ მხრივ მაინც რჩება ერთი ბუნებრივი ნაკლი - აქაურ ლიდერებთან შედარებით, სიმადლით ცოტა დაბალია და ახერხებულად რუსტამ ორუჯოვთან თბილისის ტურნირზე წაგების ერთ-ერთი მიზეზიც ეს იყო. ოღონდ ფიზიკური ძალის, ღონის მხრივ, ყველაფერი რიგზე თუ იქნება, ეს არ უნდა გამოდგეს დიდი პრობლემა - ლევიან მარტაშვილიც ბევრად დაბალია ბრაზილიელ რაფაელ სილვასა და რუს ასლან კამბიევეზე, მაგრამ როგორ კისრულე ბზე გადმოიღო ორივე!

ჯალა შავდათუაშვილი 7 აპრილს ნაკრებთან ერთად კორეაში გაფრინდა, სადაც ერთი თვით ერთობლივ შეკრებას გაივლის. მასთან ინტერვიუ სწორედ მხადების შესახებ საუბრით დავიწყოთ.

**- ამჟამად მომზადებისას რას უთმობთ უფრო მეტ ყურადღებას?**

- მოგესვენებათ, წონა შევიცვალე და თავიდან ძალიან მიჭირდა. ეს რთული პროცესია, რადგან წინასწარ ვერაფერს დაგეგმავ. ბევრი უნდა იშრომო, რათა ჯერ კონკურენტთა დონეზე ახვიდე. მერე კი გაუსწრო და მოუგო კიდევ. ამისთვის ყველაფერს ვაკეთებ. თუნდაც ფიზიკური მომზადებით - ყოველდღიურად ვმზადდები ამ კუთხით, ტექნიკაზეც ბევრს ვმუშაობ. ხშირად სამჯერად ვარჯიშობ ვარ, როცა შეკრებაზე ვარ, თუმცა გორში, ჩვენს დარბაზშიც ვაგრძელებ იმავეს.

**- ფიზიკური კონდიციებით რომ მოუმატე, ეს ვიზუალურადც გეტყობა და - ჭიდაობის დროსაც...**

- რადაც ნიუანსებზე კიდევ ვმუშაობთ. ჯერ არ ვარ იმ ასაკში, ზრდადარსებული რომ იყოს, ყოველდღიურად უნდა მოუმატო. მით უფრო, ძალიან რთული წონაა, უფრო მეტი კონკურენციაა და ყველაფერი უნდა გააკეთო წარმატების მოსაპოვებლად.

**- უფრო რა კუთხით გჭირდება მუშაობის გაძლიერება, ყურადღების გამახვილება?**

- დიდ სკორტში ერთი რაღაც არ უნდა გამოჰყო, წარმატების მოსაპოვებლად ყველაფერზე კომპლექსურად უნდა იმუშაო. წინასწარ ვერ განსაზღვრავ, ვისთან რა დაჯიჯირდება, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო.

ვერ იტყვი, ამასთან მალევე მოუგებ და ენერჯის დავზოგავო. შეიძლება, შეგხვდეს

მეტოქე, რომელიც არც რეიტინგშია შენზე წინ და არც ტიტულებითაა დახუნძლული, მაგრამ შენთვის უხერხული მოწინააღმდეგე იყოს. ისეც ხშირად ხდება, რომ რომელიმე სუსტ ფალავანს ვინმე შენზე უფრო იოლად უგებდეს, შენ კი უფრო გიჭირდეს მასთან. ამიტომ შეჯიბრებაზე ყველაფრისთვის მზად უნდა იყო.

**- ორუჯოვის თემასაც მივადექით, რომელიც არაა ტიტულოვანი, მაგრამ ბოლო სამი შეხვედრა მოგიგო, ანუ უხერხულ მეტოქედ გექცა. როგორ ფიქრობ, რის ხარჯზე უნდა აჯობო მას?**

- ფიზიკურად კიდევ გჭირდება მომატება. თანამედროვე ძიუდო ლიდერულად "ფიზიკაზე" ატეხული და როცა ამ კომპონენტში აღემატები მეტოქეს, დიდ უპირატესობას ფლობ. თუმცა ტექნიკაც ძალიან მნიშვნელოვანია. თავიდან, როცა მას პირველად შეგხვდი, იოლად მოუგე, თუმცა მაშინვე გამობოდი, ძალიან უხერხული მეტოქეა-მეთქი. ის ჩემზე მაღალი და მიუდგომელია, მაგრამ წარმატება თუ გინდა, ყველას უნდა მოუგო; არ უნდა იფიქრო იმაზე, ვინაა შენთვის უხერხული და არც კენჭისყრისას იოლი ბავე უნდა ექებო. პირიქით - როცა ძლიერი ხარ, თვითონ იფიქრონ ამაზე და იმით უნდა გაუჩინო საფიქრალი. ამისთვის გჭირდება ძალიან ბევრი შრომა და მომზადება ყველა მეტოქესთან. თუმცა სკორტია, ყველასთან წარმატებას ვერ მიაღწევ.

ძნელია, რომელიმე შეჯიბრებაზე წინასწარ დაგეგმო წარმატება. მით უფრო, მარტო შენ არ ემზადები - მსოფლიოში უამრავი სკორტმენია, რომელიც შენსავით შრომობს და ვარჯიშობს. მხარ-თემოზე წამოწოლილი არავინაა, თუმცა შეჯიბრების დღეს ვინ იქნება კვარცხლბეგის უმაღლეს საფეხურზე, წინასწარ ვერ გაიგებ.

ძალიან მნიშვნელოვანია განწყობა იმ კონკრეტულ დღეს: შეიძლება, შეგხვდეს უხერხული მეტოქე ან წამიერად შეცდე და დაკარგო ყველაფერი.

**- ეს - ზოგადად, მაგრამ ორუჯოვთან კონკრეტულად რა კოხირების გამოყენება შეიძლება, ამზადებთ მის წინააღმდეგ რამეს?**

- როგორც ვთხარით, ის უხერხული მეტოქეა და ყველას სხვადასხვანაირად, ინდივიდუალურად მიდგობა სჭირდება. ცხადია, ჩვენც განვიხილავთ მასთან კონკრეტულ შეხვედრებს და იმ ილეთს, რასაც მიკეთებს. მთავარია, ახალი პაექრობისას შემუშავ-

ბული დავალავო და შევასრულო. ის არაა იმ დონის ფალავანი, ვისთან მოგებაც არ შეიძლება.

**- თბილისის ტურნირზე მასთან წაგებით ძალიან გულდაწყვეტილი იყავით...**

- მოგება ძალიან მინდოდა, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ტურნირი ჩვენს ქვეყანაში ტარდებოდა, თუმცა რომელ ქვეყანაში იქნება შეჯიბრება, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს - ყველგან ერთნაირად გინდა წარმატების მოპოვება.

**- თუმცა საკუთარი მაყურებლის თვალწინ ჭიდაობა ორმაგად საპასუხისმგებლოა...**

- პასუხისმგებლობა არის, მაგრამ განა იგივე არაა სხვა ქვეყანაში? შენ პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ქომაგის წინაშე გაქვს - სახლში თუ ქვეყნის გარეთ. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, აქ ვჭიდაობ თუ სხვაგან - ყველგან ერთია, რადგან ჩემ უკან ჩემი ქვეყანა დგას. მე ყველგან ცდილობ, ვასახელო ის.

**- როგორც თქვენი სიტყვებით ვხვდები, გულდაწყვეტილი ხართ საზოგადოების ერთ ნაწილში გაჩენილი აზრით, რომ თითქოს ვარსკვლავური დაავადება შეგეყარათ...**

- ბევრჯერ მსმენია მსგავსი რამ, როცა ვაგებ, მაგრამ ეს ყოველთვის ასეა და, ალბათ, მომავალშიც ასევე დარჩება. ქომაგი მაქსიმალისტი და უნდა, სულ იგებდე, მაგრამ გულზე ხელდაკრეფილი და მხარ-თემოზე წამოწოლილი არავინაა. მერე რა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ვარ - მე ისევე ის ჯალა შავდათუაშვილი ვარ და ჩემულებრივად ვაგრძელებ ვარჯიშს.

**- ასეთი ხმები სტიმულს გაძლევს თუ - პირიქით, ითრგუნები?**

- სტიმული მართლაც გეძლევს - დაუმტკიცო მათ, რომ ასე არაა და თან გინდა, ის სიტყვები ისევე არ განმეორდეს, რომ თითქოს არ ვარჯიშობ, ზარმაცობ და ამგვარები. ამასთან, გულდასაწყვეტიცაა, რადგან ყველაფერს აკეთებ იმისთვის, რომ ქვეყანას წარმატება მოუტანო. თუმცა ეს მარტო ჩემს შემთხვევაში არ ხდება, ბევრზე მსმენია ასე.

არადა, ყველა ვარჯიშობს და ცდილობს, ქვეყანა გაახაროს. გაცნობიერებული გვაქვს, რომ ჩვენს თავს არ ვუკეთენით. კი, უპირველესად, წარმატება ჩვენთვის მოგვაქვს, მაგრამ როცა შედეგს აკეთებ, ეს მარტო შენი ბედნიერება არაა.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ "ლავრენტი ბერი - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერი - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენბელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრადის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველისკოს წიგნი "კამპანია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრადის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374

**იუმორი**

ცოლი - ქმარს:  
- დებილი ვიყავი, შენ რომ გამოგყევი!  
- ეგჰ, აბა მაშინ რა ვიცოდო...  
\*\*\*  
- მაშეო, რატომ მოიყვანე დედიკო ცოლად?  
- ხელად? ბავშვსაც უყვირს!  
\*\*\*  
- დედიკო, მიშეო მსუღ გამწუწაააა!  
- არა უშავს, შეილო, შენც გაწუწე.  
- როგორ გაწუწეო, მე ხომ გოგო ვარ?  
\*\*\*  
- კი მაგრამ, შენ - ასეთმა დევისმოსავმა კაცმა, რატომ სცემე ასე სასტიკად ის კაცი?  
- გამარტყა.  
- მერე შენ არ იცი, ბობლიაში რა წერია - ერთ ლოყაში რომ გაგარტყამენ, მეორე მიუშვირთ.  
- მეც ვერე ვქენი, მეორე მიუშვირე.  
- მერე?  
- მეც ვერე ვქენი, მეორე მიუშვირე.  
- მერე?  
- მეც ვერე ვქენი, მეორე მიუშვირე.  
- მერე მეორე ლოყაზე მანდ არაფერი წერია.

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მიერ გამოცემული წიგნი**

**კიდეა მკლავი ნაყოფიერი**

**შარბაქოვას, რომელიც მის**

**დაძირვის სილოზა და კვლევა ჩაღვა**

**სალხის ჯანმრთელობის სახსარად**

ლომენტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნეფროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პეპტურს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შეუღლის ცერებრალურ დაზიანებას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიაში, C-ჰეპატიტს, ნადვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მეურნალის კოორდინატები: თელავი, სოფელი შალაპში, ბაზნიძე ბიჭიკო (ლომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე - შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმნელები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**